



საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სპეციალიზებული სკოლა-პანსიონების მონიტორინგის ანგარიში



2018 წელი

ანგარიში მოამზადეს:

სალომე მარიტიძე

მადონა კობია

თამთა კაკაურიძე



ანგარიში მოამზადებულია „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს სამინისტროს შეხედულებებს.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გუნდი მადლობას უხდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაწეული მხარდაჭერისთვის პროექტის განმაჯობაში, განსაკუთრებული მადლობა ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსს ქ-ნ. ეკატერინე დგებუაძეს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტს ქ-ნ. ლელა ცქიტიშვილს და "განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის" და "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის ტექნიკურ მენეჯერს ბ-ნ. გოგიტა ვარდოსანიძეს.

ასევე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, გამოთქვამს მადლიერებას პროექტით გათვალისწინებული სკოლა - პანსიონების ადმინისტრაციის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებაში და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართული სპეციალისტების და ასისტენტების, აღმზრდელების, შესაბამისი წრეების ხელმძღვანელების/კოორდინატორების, მასწავლებლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მულტიდისციპლინური გუნდის წევრების, შრომის ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლების მიმართ.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა.....	3
შესავალი.....	3
მიზნები და ამოცანები.....	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	5
ინდიკატორები.....	5
თავი I. სკოლა - პანსიონების სპეციფიკა.....	7
❖ სკოლის ცნობადობა.....	8
❖ მშობელთა ჩართულობა და სკოლასთან კომუნიკაცია.....	9
თავი II. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დოკუმენტაცია.....	12
❖ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.....	13
❖ სკოლის ადმინისტრაციაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია.....	15
თავი III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასება.....	17
❖ სკოლამდელი განათლება.....	17
თავი IV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი.....	21
❖ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ქცევის სირთულეები 23	
თავი V. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი განათლებაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი.....	25
❖ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი სერვისები, პროგრამები.....	28
თავი VI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.....	30
თავი VII. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის.....	32
თავი VIII. სპეციალიზებულ სკოლა - პანსიონებში საადმინისტრაციო მომსახურების პროცესი.....	33
თავი IX. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგები (მიღებული კვალიფიკაცია).....	38
თავი X. ინკლუზიური კულტურა.....	39
თავი XI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები პრე - პროფესიული მომზადება და ტრანზიციცია.....	41
თავი XII. სპეციალიზებული სკოლა - პანსიონების ბიუჯეტის მოდელი.....	44
კვლევის შედეგების შეჯამება.....	51

მოკლე მიმოხილვა

შესავალი

ინკლუზიური განათლება, არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. (ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. 2009)

საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მხარდაჭერა კანონით დადგენილი ვალდებულებაა. საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის სიცოცხლის ბოლომდე (ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მზინები. თავი I, მუხლი 3, პუნქტი 2). მე-9 მუხლი („ზოგადი განათლების მიღების უფლება“) ხაზს უსვამს, რომ ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის. 2014 წელს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, არამართო დაწყებითი, არამედ მთლიანი ზოგადი განათლებაც უფასოა, რაც ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჯარო და სპეციალური პროფილის სკოლებში სწავლების შესაძლებლობას (ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. 2009)

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. (ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. 2009)

დღესდღეობით ინკლუზიური განათლება გულისხმობს ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ განათლებას, როდესაც ყველა მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში და აქვს თვითრეალიზების საშუალება (UNESCO, Guidelines for Inclusion. Ensuring Access to Education for all. Paris, UNESCO 2005). მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები - გარემო მხოლოდ ამ შემთხვევაშია ინკლუზიური. როდესაც მოსწავლეს ექმნება სირთულეები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მასალის დაძლევაში, თუ იგი აღმოჩნდება გარემოში, სადაც მასწავლებელი კარგად იცნობს კლასში ყველა მოსწავლის საჭიროებას, თითოეული მოსწავლის ან ჯგუფისთვის მომზადებული აქვს განსხვავებული სირთულისა და შინაარსის დავალებები, სასწავლო პროცესი გაცილებით ჰარმონიულად იქნება შერწყმული კონტექსტთან და შედეგის მიღწევაც შესაძლებელი გახდება. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი, 2014).

აქედან გამომდინარე, ბავშვის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის გარემოზე, სკოლაში არსებულ ინკლუზიური კულტურაზე და გარემოში არსებულ რესურსებზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის წარმატებას სასკოლო გარემოში.

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის სკოლას ესაჭიროება შესაბამისი ხედვა, კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტიმული, რესურსები და კვალიფიცირებული კადრები. ყველა ეს კომპონენტი ხელს უწყობს დიფერენციული მიდგომის შემუშავებას. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი, 2014).

მიზნები და ამოცანები

განხორციელებული კვლევა და მოცემული კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (საეა) მიერ, სატენდერო ხელშეკრულების მომსახურების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში სამინისტროს) მიერ „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სპეციალიზებული სკოლა პანსიონებში.

მონიტორინგის მიზანია სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობის შესწავლა შემდეგ სკოლა - პანსიონებში:

ოთხი მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სკოლა-პანსიონი:

1. სსიპ - ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა,
2. სსიპ - ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლა,
3. სსიპ - ქალაქ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა,
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა;

ორი სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლა,
2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა;

ერთი მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა.

ერთი ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი:

1. სსიპ - ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა.

კვლევის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- სკოლა - პანსიონების სსსმ მოსწავლეების სწავლა - სწავლების პროცესი;
- სკოლა - პანსიონების სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო დოკუმენტაციის გამოყენება, დანერგვა და შეფასება;
- სკოლა - პანსიონებში არსებული ფიზიკური გარემოს, ადამიანური და მატერიალურ - ტექნიკური რესურსების შეფასება;
- სკოლა - პანსიონების სსსმ მოსწავლეების პრე - პროფესიული მომზადებისა და ტრანზიციის პროცესების შეფასება;
- სკოლა - პანსიონებში ინკლუზიური კულტურის შეფასება.

ანგარიში ემყარება საჯარო სკოლა - პანსიონებში შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციას.

კვლევამ მოიცვა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- საჯარო სკოლა-პანსიონების ადმინისტრაცია;
- საჯარო სკოლა-პანსიონების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები;

- საჯარო სკოლა-პანსიონების სპეციალისტები და ასისტენტები, აღმზრდელები, შესაბამისი წრეების ხელმძღვანელები/კოორდინატორები, მასწავლებლები;
- შრომის ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები;
- სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე საეას გუნდი გაეცნო ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებულ ღონისძიებებს, საკანონმდებლო ბაზას/რეგულაციებს და პროგრამას, რომლის საფუძველზეც მოახდინა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ინტერვიუების სახელმძღვანელოს შემუშავება და მათი ორგანიზება. სიტუაციური ანალიზის მომზადების მიზნით, მოახდინა ფოკუს ჯგუფების ორგანიზება 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლის პერსონალთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, რომლის გათვალისწინებით შემუშავდა შესაბამისი შეფასების ინდიკატორები და კვლევი ინსტრუმენტების;

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით სკოლა - პანსიონებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები:

- სკოლა - პანსიონების ადმინისტრაცია - 8 ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- სკოლა - პანსიონების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებაში და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართული სპეციალისტები და ასისტენტები, აღმზრდელები, შესაბამისი წრეების ხელმძღვანელები/კოორდინატორები, მასწავლებლები - 8 ფოკუს ჯგუფი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები - 8 ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები - 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- შრომის ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები - 1 ჩაღრმავებული ინტერვიუ;

ინდიკატორები

ძირითადი მიმართულებები

შეფასების ინდიკატორები განისაზღვრა ქვემოთ მოცემული 13 ძირითადი მიმართულებისათვის თითოეული სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე;

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დოკუმენტაცია/ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგები (მიღებული კვალიფიკაცია);
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი;
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასება;
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი განათლებაში/მხარდაჭერაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი;
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი სერვისები, პროგრამები;
8. საადმინისტრაციო მომსახურება;
9. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის;
10. სკოლის ადმინისტრაციაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
11. ინკლუზიური კულტურა;
12. მშობელთა ჩართულობა და სკოლასთან კომუნიკაცია;
13. დაფინანსების მოდელი:
 - მეთოდოლოგიისა და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება;
 - კვლევის განხორციელება შერჩეულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
 - კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისთვის და სამინისტროსთვის.

თავი I. სკოლა - პანსიონების სპეციფიკა

სკოლა - პანსიონების მისიაც, სხვა ყველა სკოლის მისიის მსგავსია და მიზნად ისახავს მოსწავლის სწავლას, აღზრდას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. თავის მხრივ, ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას. ეს არის მიდგომა, რომელიც მოსწავლეთა განსხვავებულობას არ აღიქვამს, როგორც პრობლემას. ამავე დროს, ინკლუზიური განათლება გულისხმობს თითოეული ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას.

საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია ოთხი მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სკოლა - პანსიონი, ორი სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეთა სკოლა - პანსიონი, ერთი მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეთა სკოლა - პანსიონი და ერთი ცქვევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეთა სკოლა - პანსიონი. აქედან 4 სკოლა მდებარეობს თბილისში, ხოლო დანარჩენები რეგიონებში. თითოეული სკოლა - პანსიონის სპეციფიკა განსხვავებულია, რაც გამოიხატება მათი მუშაობის მეთოდებშიც.

სკოლა - პანსიონებს აქვთ განმასხვავებელი ნიშანი, რაც გულისხმობს სწავლების მეთოდებს, განსხვავებულ გაკვეთილებს. ერთ - ერთი სკოლის განმასხვავებელი ნიშანი გამოიხატება მეთოდში, რომლის მიხედვითაც მათი სწავლება რამდენიმე ბლოკისაგან შედგება, ერთი არის სწავლა სწავლების პროცესი, რომელსაც ჩანაცვლებული აქვს ტიპიური გაკვეთილების ფორმა. როგორც დირექტორმა განმარტა, იმ სირთულის მქონე მოსწავლეები, როგორც მის სკოლაში არიან, აწყდებიან დაბრკოლებებს სასწავლო მასალის სტანდარტულად სწავლების დროს. მისივე რეკომენდაციით სკოლამ სწორად უნდა განსაზღვროს თავისი სპეციფიკა და სწავლების მისაღები ფორმა, რომელიც მოსწავლეს განვითარებისათვის საჭირო საფუძველს შეუქმნის, რადგან არის შემთხვევები, როდესაც არასწორი მიდგომის ან პირობების გამო მოსწავლეს არ ეძლევა განვითარების შესაძლებლობა.

მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სკოლა პანსიონებში მუშაობა მიმდინარეობს სპეციალურად მძიმე და მრავლობითი ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებისთვის. მსუბუქი ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვები ამ სკოლაში თითქმის არ ხვდებიან, რადგან მუშაობა მიდის მის ინკლუზიაზე. ამასთან ერთად ზოგიერთ სკოლას აქვს დამატებითი პანსიონური მომსახურება, სადაც ბავშვებთან მუშაობა ხდება ფუნქციური უნარების განვითარებაზეც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსწავლეების ძირითადი ნაწილი თბილისში მდებარე სკოლებზე მოდის. ამ რაოდენობაში მოიაზრება არა მხოლოდ ადგილობრივად მცხოვრები სსსმ მოსწავლეები, არამედ რეგიონებიდან მიგრირებული სსსმ მოსწავლეებიც. სკოლის დირექტორების განცხადებით, აღნიშნული სტატისტიკა შესაძლოა განპირობებული იყოს სხვა სკოლებში არასრულფასოვანი გარემოთი. სკოლების შესაძლებლობები განსხვავებულია მოსწავლეების მიღების რაოდენობრივ ნაწილშიც. რიგ შემთხვევაში, ამის მიზეზი სკოლის ფიზიკური გარემოს გაუმართაობაა, რაც ხშირად ყოფილა მოსწავლის სხვა სკოლაში გადამისამართების მიზეზიც. ზოგიერთ სკოლას შეუძლია ფიზიკურად მეტი ბავშვის მიღება, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ არ არის ფიზიკური სივრცე, მეტი ბავშვის ჩარიცხვა ვეღარ ხდება.

დირექტორების ნაწილმა აღნიშნა, რომ სამინისტროს დადგენილებით არ შეიძლება კლასში 10 მოსწავლეზე მეტის დაშვება, ამიტომ 10 ბავშვის ზემოთ ხდება ახალი კლასის გახსნა, რაც დამატებით ფიზიკურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. ადმინისტრაცია სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე ისახავს მიზანს და ცდილობს ისე მართოს სასწავლო პროცესი, რომ პასუხობდეს მიზანს. როგორც ერთ - ერთი სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როცა იცვლება სკოლის მიზანი: ძირითად შემთხვევაში სკოლა ცდილობს მიზანი რეალისტური იყოს და არ აცდეს მოსწავლის შესაძლებლობების ფარგლებს. სასკოლო აქტივობებისა და კლასგარეშე ღონისძიებების დახმარებით ცდილობენ მოსწავლეების ინტეგრაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდას.

» სკოლის ცნობადობა

მშობლის ჩართულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებაში, მის სასკოლო და სოციალურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვზე. იმისთვის, რომ მშობელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მშობლის ინფორმირებულობა. მშობლის ინფორმირებულობა გულისხმობს, როგორც მის ფსიქოგანათლებას, ასევე იმ ტექნიკური საკითხების ცოდნას, როგორცაა მომსახურების სერვისების და სხვა საჭირო თერაპიების არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობა. გარკვეულ ეტაპზე მშობელს უკვე სჭირდება გადაწყვეტილების მიღება ბავშვის მომავალ სასკოლო გარემოსთან დაკავშირებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია ბევრი ფაქტორის ერთდროულად გათვალისწინება.

მშობლების ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ ინფორმაციის პირველი წყარო მათთვის ისევ სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელია. თუმცა ინფორმაციის ეს წყაროც არ არის ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი, რადგან როგორც თვითონ მშობლებმა აღნიშნეს, მათთვის საჭირო ინფორმაციის გაცვლა ხდება შემთხვევითი შეხვედრების შედეგად, როგორცაა სხვადასხვა ღონისძიებებზე ან აქტივობებზე დასწრება, შესაბამისად ინფორმაციის ეს წყაროც არასისტემატიური ხასიათისაა და მხოლოდ ზოგიერთი მშობლისთვისაა ხელმისაწვდომი.

მშობლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სსსმ ბავშვისთვის სკოლის შერჩევის ეტაპზე მნიშვნელოვანია მშობლებს ინფორმაცია ჰქონდეთ სკოლების შესახებ. მშობლის ინფორმირებულობის პრობლემა ერთნაირად დგას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, ამიტომ სამუშაოების ამ მიმართულებით დაგეგმვა უფრო მასშტაბურადაა საჭირო. მშობლების დიდმა ნაწილმა, თბილისშიც და რეგიონებშიც, არ იცოდნენ იმ სკოლების არსებობის შესახებ სადაც მათი შვილი მიიღებდა მასზე ადაპტირებულ განათლებას, შესაბამისად იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვმა ვერ მიიღო შესაბამისი მომსახურება იმის გამო, რომ ოჯახს ამ მიმართულებით არჩევანის საშუალება არ ჰქონდა. ერთ - ერთ დირექტორს ამ პრობლემის მოგვარების გზად სკოლა - პანსიონების უფრო მეტი აქტიურობა მიაჩნია, მისი აზრით საქართველოს მასშტაბით ასეთი სკოლების ჩართულობა კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში გაზრდის სკოლების ცნობადობას. როგორც ზოგადი სურათიდან გამოჩნდა, ბავშვის მეურვეები სკოლის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ისევ სხვა ნაცნობი მშობლებისგან იღებენ.

ერთ-ერთი მშობელი გამოთქვამს სურვილს, რომ ყველა საჯარო სკოლას ჰქონდეს ინფორმაცია სკოლა - პანსიონების შესახებ. მშობელს თავიდანვე უნდა ჰქონდეს საშუალება, განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა და ისე მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის მომავალი განათლების

შესახებ. მშობლებს მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის გავრცელების კარგი საშუალება იქნებოდა ინტერნეტ რესურსების გამოყენება სკოლების საერთო ბაზის შექმნის მიზნით. ასევე გამოთქვამენ სურვილს, რომ დღის ცენტრებში იყოს განთავსებული ინფორმაცია სკოლა - პანსიონების შესახებ. ინტერნეტ სივრცის გამოყენებას ემხრობიან დირექტორებიც. ერთ - ერთის თქმით, მის სკოლაში აქვთ ანკეტა მშობლებისთვის, სადაც მან უნდა აღწეროს, თუ საიდან გაიგო სკოლის შესახებ ინფორმაცია, ანკეტების შედეგებში ძირითადად მოცემულია, რომ მშობელი ინფორმაციას იღებს სხვა მშობლისგან, შემთხვევითი შეხვედრების შემდეგ. ამიტომ სკოლის დირექტორი ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით მეტია გასაკეთებელი და შეიძლება მშობლის ინფორმირებისთვის გამოიყენონ თუნდაც ინტერნეტ გვერდი, სადაც სრულყოფილად იქნება მშობლისთვის საჭირო ყველა შეკითხვაზე პასუხი გაცემული. ამას გარდა, დირექტორების უმეტესობას მიაჩნია, რომ ცნობადობის გაზრდა სპეციალიზირებული სკოლების შესახებ უფრო მოსახერხებელი და სწრაფი იქნება სატელევიზიო რეკლამების საშუალებითაც, ინფორმაციის გავრცელების ერთ - ერთი მისაღები ფორმაა სამედიცინო დაწესებულებებში სკოლების შესახებ ინფორმაციის განთავსებაც და დღის ცენტრებისა და ბაღების ინფორმაციის გავრცელების მექანიზმად გამოყენებაც.

ინფორმაციის არქონამ შეიძლება სხვადასხვა პრობლემებს დაუდოს საფუძველი. ამიტომ მშობელი თავიდანვე უნდა იყოს ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფილი, რომ თავიდან იქნეს არიდებული ბავშვის დაგვიანებულ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები. დირექტორის თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა 28-29 წლის ასაკში მოუყვანიათ ადამიანი სკოლაში, რადგან მის ოჯახს აქამდე იმის შესახებაც კი არ ჰქონია ინფორმაცია, რომ შეეძლო ბავშვის სკოლაში მიყვანა. შესაბამისად, საფრთხის წინაშე დგას იმ ბავშვის განვითარება, ვისი ოჯახიც ინფორმირებული არ არის ბავშვის საჭიროებების და იმ სერვისების შესახებ, რომლებიც ბავშვის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი.

გარდა ამისა, წამოიჭრა სხვა სახის პრობლემაც, რომელიც უკავშირდება რეგიონებიდან ჩამოსული ბავშვების სწავლებას თბილისის სკოლა პანსიონებში. სკოლის პერსონალი აღნიშნავს, რომ რთულია მოსწავლეებისთვის მათთვის თბილისში ყოფნა და ოჯახთან დიდი ხნით განშორება, მითუმეტეს, როცა თბილისში მცხოვრებ ბავშვებს მშობლები ყოველ შაბათ-კვირას აკითხავენ, სკოლის პერსონალი აღნიშნავს, რომ ეს უარყოფითად აისახება მათ განწყობაზე და შესაბამისად მოტივაციაზე. ამიტომ გამოთქვამენ სურვილს, რომ ინკლუზიური განათლება იყოს დანერგული ყველა სკოლაში და მითუმეტეს რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის უკეთეს ჩართულობას ბავშვის სწავლასა და განვითარებაში.

» მშობელთა ჩართულობა და სკოლასთან კომუნიკაცია

მშობლის ჩართულობის დროს შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს აქვს უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, გამოცდებისა და ტესტების უკეთესი შედეგები. ამავე დროს უმჯობესდება დასწრების მაჩვენებელი, მოსწავლეს უვითარდება სოციალური უნარები და მისი ქცევა პოზიტიური ხდება როგორც სახლში, ასევე სკოლაში. ეს არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეზე, როგორც სკოლაში სწავლის პერიოდში, ასევე მომავალი პროფესიული საქმიანობის პროცესში. (მშობელთა ჩართულობა, G_PRIED, თბილისი 2015)

ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის

ერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს მშობლების მონაწილეობას რეგულარულ, მრავალმხრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში. (მშობელთა ჩართულობა, G_PRIED თბილისი 2015)

მშობელთა ჩართულობით მიღებული სარგებელი ნათელია: კვლევებმა ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ მოსწავლეთა ყოფაქცევასა და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზეც (მშობელთა ჩართულობა, G_PRIED, თბილისი 2015). ამერიკელი მასწავლებლების ბოლო დროინდელი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი პედაგოგების 20 პროცენტი და დირექტორების თითქმის ერთი მეოთხედი სამსახურებრივი სტრესის მნიშვნელოვან მიზეზად მშობლებთან მათ ურთიერთობას ასახელებს (MetLife, 2005).

ზემოთ აღნიშნულ დასკვნებს ეხმაურებიან სკოლა - პანსიონების დირექტორებიც. მათი შეფასებით ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების პროცესში მშობლები არიან ჩართულები, გაცილებით კარგ შედეგებზე გადიან.

სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ინტერვიუში საუბრობს ამ საკითხზე.

“*მშობლის ინფორმირებულობა ჩვენი პრეროგატივაა, მედია და არასამთავრობის ჩართვით უფრო ეფექტური შედეგის მიღება იქნებოდა შესაძლებელი*“ - ამბობს გუნდის წევრი.

მისივე თქმით, სამინისტრომ ან სამინისტროებმა საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან ერთად, შიდა რეგულაციებზე დაყრდნობით უნდა შეიმუშაონ საინფორმაციო წერილები, შეხვედრები, გააჟღერონ ტრენინგზე არსებული რესურსების არსებობა და ოფიციალურად დაარეგისტრირონ ის მასწავლებლები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას სკოლის სივრცეში სსსმ მოსწავლის ჩართვის და თანამონაწილეობისთვის სკოლის გარემოში.

გარდა იმისა, რომ პრობლემას წარმოადგენს მშობლის ინფორმირებულობა, სირთულეები იქნმნება ბავშვის განვითარებაში მშობლის ჩართულობის კუთხითაც. ერთ - ერთი რეგიონის სკოლის სპეციალისტების თქმით ძალიან რთულად დგას მშობლების ცნობიერების საკითხი. როგორც მათ აღნიშნეს, ძალიან ხშირ შემთხვევაში მშობელი თვლის, რომ სკოლა - პანსიონში შვილის მიყვანა მას უხსნის მშობლის პასუხისმგებლობას, ამის გამო, ისინი აღარ ერთვებიან მათი შვილის სასკოლო ცხოვრებაში. სპეციალისტების განცხადებით აუცილებელია მშობლებთან მუშაობა, რადგან მოსწავლე როდესაც დაამთავრებს სკოლა ის ისევ დამოკიდებული ხდება მშობლების გადაწყვეტილებაზე გააგრძელებს სწავლას თუ არა. იმ შემთხვევაში, როცა მშობლის მხრიდან ბავშვის საჭიროებების უგულვებელყოფაზე საუბარი, სპეციალისტები საუბრობენ სოციალური სამსახურების ჩართულობაზე, რაც პირველ რიგში ბავშვის უფლებების დაცვისთვის არის საჭირო და შემდეგ მისი განათლებისთვის.

მშობლების ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ბავშვთან მუშაობის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებაც. კითხვაზე უფიქრიათ თუ არა მშობლებს საკუთარი უნარების გაუმჯობესებაზე ბავშვის გაძლიერების მიზნით, მათგან წამოვიდა დადებითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და გამოთქვეს ჩართულობის სურვილი. რამდენიმე მათგანს ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა ტრენინგს, მაგრამ როგორც აღნიშნეს, ეს არ იყო

სკოლის მიერ ორგანიზებული და თავად მოიძიეს ინფორმაცია ამის შესახებ. მსგავსი ტრენინგები არ არის ხშირი მათთვის და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც უჭირთ დასწრება გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო. ტრენინგების გავლა სირთულეს წარმოადგენს ფინანსური პრობლემების კუთხითაც, მშობლები აღნიშნავენ, რომ არის ძალიან კარგი ტრენინგები თუმცა ხშირ შემთხვევაში არის ფასიანი, ამის გამო მათი რეკომენდაციით შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ უნდა უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება მშობლებისთვის ან უნდა გამოიყოს ფინანსური რესურსები, რომ სკოლამ თავად შეძლოს უფასო ტრენინგების ჩატარება მშობლებისათვის.

თავი II. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დოკუმენტაცია

საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლის განათლების პროცესის მიმდინარება, აკადემიური მიღწევები, დემოგრაფიული მონაცემები და სხვა ინფორმაცია დოკუმენტირებული და სისტემატიზებულია მოსწავლის პირად საქმეში (მოსწავლის პირად საქმეს ზოგიერთ შემთხვევაში პორტფოლიოს უწოდებენ). ამავდროულად, მოსწავლის პირადი საქმე ასახავს ინფორმაციას სასწავლო წლის/ების განმავლობაში მიღებული შეფასებისა და აქტიურობის შესახებ. მოსწავლის პირადი საქმის ფორმა და მისი წარმოების წესი დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. “მოსწავლის პირადი საქმის წარმოება იწყება მისი პირველ კლასში ჩარიცხვიდან და გრძელდება სკოლაში სწავლის განმავლობაში.” მოსწავლის პირადი საქმე ასე გამოიყურება:

დანართი 1. სსსმ მოსწავლის პირადი საქმე

მოსწავლის შესახებ მონაცემები დაწყებით საფეხურზე

მოსწავლის ფოტოსურათი

ასაკი _____

კლასი პირველი:

მონაცემები მოსწავლის წლიური შეფასების შესახებ:

№	წლიური შეფასება	აღწერა	შენიშვნა

მონაცემები „ეროვნული სასწავლო გეგმით“ გათვალისწინებული საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესახებ:

საგანი									
შეფასება									

მონაცემები სხვადასხვა აქტიუობაში მონაწილეობის შესახებ:

№	აღწერა	პერიოდი	შედეგი

» ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (დანართი 2.) არის შესაძლებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობებში ჩართვისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას მოსწავლეზე ორიენტირებულად მოხდეს დროის იმ ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, რომელსაც მოსწავლე სასკოლო სივრცეში გაატარებს ან დაუთმობს სასწავლო საქმიანობებს სკოლაში თუ სახლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს არის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სასწავლო მიზნები შესაძლებელია განსხვავებული იყოს მოსწავლის საფეხურის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებისგან. შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასახული სასწავლო მიზნების განხორციელება სწავლების სპეციფიური სტრატეგიების და პროცესის განსაზღვრას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია, ეს პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტილად და სხვა მოსწავლეებისგან იზოლირებულად (გარდა რესურს ოთახისა) არ მიმდინარეობდეს. პირიქით ინდივიდუალურმა გეგმამ, კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის სოციალიზაციას და ინტეგრაციას კლასში. იქედან გამომდინარე, რომ სწავლება სპეციფიურია სკოლებში, ერთ-ერთი სკოლის დირექტორის განცხადებით ყველა მოსწავლეზე დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელსაც პედაგოგები ადგენენ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როცა ბავშვთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაც ვერ ხდება, დგება ალტერნატიული სასწავლო გეგმა.

ინტერვიუს დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ ისგ - ს ფორმა და ფორმატი შეიცვალა და ახალი მეთოდით ხდება მისი წარმოება, რამაც გაამართლა. აღნიშნულ გეგმაში დაფიქსირდა ახალი საჭიროებები, რადგან უფრო კარგადაა საკითხები ჩაშლილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დადებით შედეგს გამოიღებდა ერთიანი დოკუმენტის შექმნა სააღმზრდელო ნაწილისთვისაც. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი მზაობას გამოთქვამს თანამშრომლობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება სააღმზრდელო მომსახურებისათვის სტანდარტიზებულ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

ისგ - ს სპეციალისტები და მათ შორის პედაგოგებიც მიიჩნევენ საჭირო დოკუმენტად, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს დაინახონ მოსწავლის პროგრესი წლიდან წლამდე. რეგიონის ერთ-ერთი სკოლის სპეციალისტების თქმით, მათ არ უჭირთ ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რადგან დაკვირვება მათ სწორი გეგმის დაწერის საშუალებას აძლევს. ყველა საგანში იწერება ინდივიდუალური გეგმა. პირველი სემესტრის დასასრულს კეთდება შეფასება, რომელშიც საგნის მასწავლებელი წერს მიაღწია თუ არა იმ მიზანს რაც პედაგოგს ჰქონდა გაწერილი. დადებითი პასუხის შემთხვევაში შეფასებაში მიეთითება, რომ მიზანი მიღწეულია, უარყოფითის შემთხვევაში მარტივდება მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ მომდევნო სემესტრში.

თუმცა, ყველა სკოლაში ეს პროცესი ერთნაირად არ მიმდინარეობს, ზოგიერთი სკოლის მაგალითიდან გაირკვა, რომ ინდივიდუალური გეგმის შედგენას თან ახლავს სირთულეები. ერთ -ერთი სკოლის სპეციალისტი აცხადებს, რომ სირთულეს აწყდებიან მაშინ, როდესაც მოდის ახალი ბავშვი, რომელიც შეფასებულია სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის მიერ. სირთულეს უქმნით შეფასების დასკვნა, რომელშიც ნაკლებად არის აღწერილი

ბავშვის უნარები და ძირითადად მოცემულია მშობლის ინტერვიუზე დაფუძნებული დასკვნები. სპეციალისტები ამის მიხედვით აკეთებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მაშინ, როცა დასკვნაში ბავშვის უნარები არ არის მოცემული, უწევთ თვითონ გააკეთონ ბავშვის ხელახალი გადაფასება.

მეორეს მხრივ, სამინისტროს ერთ-ერთი მულტიდისციპლინური გუნდის წევრი აცხადებს, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრი მოსწავლეს აფასებს სსსმ პირის სტატუსის დადასტურების ან უარყოფის მიზნით და მისთვის საგანმანათლებლო სივრცის შერჩევის მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმისთვის საჭირო მიმდინარე შეფასებას და მოსწავლის ფუნქციური უნარების იდენტიფიკაციას უნდა ახდენდეს სკოლის ისგ - ს ჯგუფი, რომელშიც აუცილებლად შედის მშობელი.

ამ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება, სადაც მოცემულია შემდეგი დებულებები:

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება“

„სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში - ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.“

„ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.“

ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ძირითად ფუნქციას ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა წარმოადგენს, ხოლო ამის შემდეგ ბავშვის ყველა სფეროს შეფასება, რაც ისგ-თია გათვალისწინებული, ბავშვის ისგ- ჯგუფმა უნდა შეძლოს.

ამის გარდა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს სირთულეები ექმნებათ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ალტერნატიული სასწავლო გეგმის შედგენა ხდება საჭირო. მასწავლებლების თქმით ალტერნატიული სასწავლო გეგმა დამტკიცებული არ არის, რის გამოც უჭირთ მაღალ კლასებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. საგნის მასწავლებლები სურვილს გამოთქვამენ, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს საგნობრივი მიმართულებები.

„კარგი იქნება ინდ. გეგმის ფორმაში გათვალისწინებული იყოს საგნობრივი მიმართულებები. მე მაგალითად ვასწავლი ქიმია- ბიოლოგიას და როცა ვწერ ინდ. გეგმას ვაწყდები პრობლემას, კერძოდ მე შემიძლია ავილო გრძელვადიანი მიზანი ერთი და მოკლევადიანი რამდენიმე, მაგრამ ამ წუთას მე ცოტა სხვანაირად ვხედავ ამ გეგმას. ძალიან ძნელია ბიოლოგიაში დავწერო რაღაც ახალი აქტივობა და იმ მიზნამდე მივიდე ძალიან განსხვავებული აქტივობებით“.

ინფორმაცია ალტერნატიული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ მოცემულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების 41-ე მუხლში. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის აუცილებელია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანა, როგორცაა სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავება (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #32/ნ 2018 წლის 7 სექტემბერი, ქ. თბილისი).

რეგიონის ერთ - ერთი სკოლის სპეციალისტების თქმით კი მათთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა არ არის სირთულეებთან დაკავშირებული, რადგან საკმარისი თანამშრომელი ყავთ, რომლებიც ამ კუთხით მუშაობენ. მათი განცხადებით უკვე ორი წელია რაც ისგ - ს შედგენა დაიწყეს და მიაღწიეს მის გაუმჯობესებულ ვერსიას, რაშიც წვლილი შეიტანა ტრენინგებმა, რომელიც ამ მიმართულებით უტარდებათ.

საბოლოოდ შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ინდივიდუალური გეგმის შექმნა და მისი გამოყენება რეგიონებში მომუშავე სპეციალისტებისთვის უფრო მარტივი და მოქნილი პროცესი აღმოჩნდა, ვიდრე თბილისის სკოლებისთვის.

» სკოლის ადმინისტრაციაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია

სკოლებში არსებობს შინაგანაწესი, რომელსაც ემორჩილება ყველა სასკოლო თემი, ამაში შედიან მასწავლებლები, ადმინისტრაცია, სპეციალისტები, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეები და მშობლები. მასში ჩართულია ყველა მხარე და გაწერილია, როგორც უფლებამოსილება ასევე ვალდებულებები.

„შინაგანაწესის ახალი ფორმა შემოვიდა, რაც ადრე არ ყოფილა. მშობელიც აფორმებს ხელშეკრულებას სკოლასთან, სადაც არის მოკლე შინაგანაწესის პუნქტები მშობლებთან დაკავშირებით, რადგან ძალიან ხშირად მშობელმა მისი ვალდებულებები არ იცის, მაგალითად ის, რომ ბავშვი ვირუსიანი არ უნდა მოიყვანოს სკოლაში და მოწესრიგებული უნდა იყოს მოსწავლე და ა.შ.“

სკოლების მთავარი შიდა დოკუმენტი არის შინაგანაწესი, რომელიც აწესრიგებს სკოლის რეგულაციებს, სადაც გაწერილია სკოლის განრიგი, გაკვეთილების განრიგი, დისციპლინური სახდელები, წახალისება და ზოგადად ყველაფერი, რაც კი სკოლას შეეხება. გარდა ამისა, სკოლას აქვს სააღმზრდელო პროგრამა, სადაც გაწერილია სააღმზრდელო ნაწილის

აღწერილობაც, ინფორმაცია ჯგუფის განაწილების შესახებ და ყველა ოქმი, რომელიც შეხვედრაზე დგება. ამასთან ერთად განაწესში თავმოყრილია სემესტრული და წლიური ანგარიში.

გარდა ამისა, შინაგანაწესით სკოლაში აქვთ ბავშვების პირადი დოკუმენტაცია, სადაც არის ფორმა 100, საგნობრივი ინდივიდუალური გეგმა, ცალკე აქვთ ასევე სააღმზრდელო გეგმა, გარდა ამისა, არის დამატებითი რეგულაცია სააღმზრდელო ნაწილში, ე.წ. სპეციალური სკოლების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიხედვით შექმნილია ქვეპროგრამა, თუ რა დამატებითი სერვისები შეიძლება მიიღოს მოსწავლემ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელი არჩევს იმ სერვისს, რომელსაც თვლის პრიორიტეტულად. ამის შემდეგ იკრიბება გუნდი და განიხილავს რეალურად საჭიროებს თუ არა ეს მოსწავლე არსებულ სერვისს.

ერთ-ერთი დირექტორის განმარტებით, ისინი ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აქვთ შიდა რეგულაციები და გაწერილია ყველა ის საკითხი რაც ეხება ბავშვის მიღების დღიდან მის გასვლამდე. ამასთან ერთად, დებულებაშია გაწერილი ყველა საკითხი, რაც შრომის კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

დირექტორების მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დახვეწის რამდენიმე გზა დასახელდა, კერძოდ, ერთ-ერთი სკოლის დირექტორის განცხადებით უმჯობესი იქნება თუ სკოლაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე შეიქმნება ელექტრო - ჟურნალები, რომელსაც თანდართული ექნება ხმოვანი პროგრამა უსინათლო პედაგოგებისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად შეავსონ ჟურნალები.

თავი III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასება

ბავშვის სკოლაში ჩარიცხვამდე ხდება მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა, რომელიც ხორციელდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების და დასკვნის საფუძველზე, გარდა ამისა ხდება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროების განსაზღვრა.

დირექტორის განმარტებით მოსწავლის ფუნქციურ - სოციალური უნარების მოქნილად შეფასება ხდება დაკვირვების, პედაგოგთან კომუნიკაციის, ფსიქოლოგთან, მასწავლებელთან და მშობელთან ურთიერთობის საფუძველზე. თუმცა, ამის მიუხედავად მაინც არსებობს სირთულეები, რადგან არ არსებობს ფუნქციურ - სოციალური უნარების შეფასების ინსტრუმენტები.

სკოლის დირექტორი ფიქრობს, რომ ინსტრუმენტების ადაპტირებაზე უნდა მოხდეს მეტი რესურსის დახარჯვა და ეს ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის სპეციალისტებისთვის. ამ მოსაზრებას ემხრობიან სხვა დირექტორებიც და აღნიშნავენ, რომ სკოლის სპეციალისტები შედარებით ადვილად აფასებენ აკადემიურ უნარებს და იციან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ძლიერი და სუსტი მხარეების დიფერენცირება, მაგრამ აწყდებიან პრობლემებს როცა საქმე ეხება ფუნქციური უნარების შეფასებას. მათივე თქმით, ფუნქციურ უნარებზე ინდივიდუალური გეგმის მსგავსი მიმანიშნებელი დოკუმენტის საჭიროება ნამდვილად დგას.

» სკოლამდელი განათლება

სსსმ მოსწავლეების ფუნქციური უნარების შეფასების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლამდელი განათლება. სკოლის სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ სკოლამდელი ბავშვების უნარების გაუმჯობესებაზე, მათი განცხადებით ბავშვის ბაზისური უნარების სკოლამდე განვითარება ბევრად შედეგიანს გახდიდა სასწავლო და სააღმზრდელო პროცესს. ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ განვითარებული ფუნქციური უნარები, სკოლაში სწავლის დროს ექმნებათ სირთულეები და აქვთ ადაპტაციის პრობლემა. რეგიონის სკოლის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ამ მიმართულებით არსებობს ორი სირთულე. პირველი, ის რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს სსსმ ბავშვებზე პასუხისმგებლობა და უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება ჯერ კიდევ სამშობიაროში. საავადმყოფო უნდა იყოს ვალდებული აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სამსახურს. მეორე, ეს არის ასევე სხვა სკოლების მიერ დასახელებული პრობლემა, რომელიც სკოლამდელ აღზრდაში მდგომარეობს. კერძოდ, პედაგოგებს სკოლაში მისულ ბავშვთან უწევთ იმუშაონ ისეთი უნარების განვითარებისათვის, რომელზე მუშაობაც უნდა მიმდინარეობდეს ბაღში. მათი თქმით ამის გამო აკადემიურ უნარებზე მუშაობა უკანა პლანზე იწევს, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსწავლეს 45 წუთი მერხთან ჯდომის უნარიც კი არ აქვს გამომუშავებული.

სკოლამდელ დაწესებულებებში, ისევე როგორც სკოლებში, მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლება. ბაღებში ინკლუზიური სწავლება რეგულირდება კანონით, რომელიც მოცემულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

მუხლი 23. ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

(1) დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებია.

აქედან გამომდინარე, სსსმ მოსწავლეს უკვე სკოლამდელ დაწესებულებაშიც აქვს საშუალება, რომ მიიღოს შესაბამისი განათლება, თუმცა იღებს თუ არა ყველა ბავშვი სკოლამდელ განათლებას და ხდება თუ არა სკოლამდელ გარემოში ფუნქციურ უნარებზე მუშაობა, ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული ბავშვის განვითარების ისტორიაზე, მიზნებზე, რომლებზეც ბაღში მუშაობდნენ. ამ ყველაფერზე ინფორმაცია სკოლებს არ აქვთ, რადგან ბაღიდან სკოლის გარემოში ტრანზიციის პროცესიც ბუნდოვანია.

პედაგოგის თქმით არ არსებობს შეფასების ინსტრუმენტები, ამიტომ უწევს თავად მოიძიოს ინტერნეტის საშუალებით და მოახდინოს მისი ადაპტაცია. თუმცა, რომელი შეფასების ინსტრუმენტი იგულისხმება და ვინ ახდენს ამ ინსტრუმენტების ადაპტირებას, ეს ყველაფერი ბუნდოვანია. ფუნქციური და სოციალური უნარების უფრო მოქნილად შესაფასებლად ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში იყენებენ განვითარების გეგმას ე.წ. ფუნქციური უნარების შეფასების ფორმა. ეს არის სკოლის შიდა დოკუმენტი, სადაც მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაძლებლობებია განხილული. ფორმა დგება ინდივიუალურ სასწავლო გეგმასთან ერთად და მის შედგენაზე მუშაობენ სპეციალისტები, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები და აღმზრდელები. დეტალურად აქვთ ჩაშლილი საკითხები და აღმზრდელები ამით აფასებენ მოსწავლეებს და სწორედ ამ შეფასების საფუძველზე ხდება გაგება თუ რა კუთხით უნდა მოხდეს მუშაობა წლის განმავლობაში კონკრეტულ მოსწავლესთან. სკოლის თანამშრომლების მზაობას გამოთქვავენ, ყველასთვის მისაღები ფუნქციური და სოციალური უნარების შეფასების ერთიანი ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობაზე.

რეგიონების მულტიდისციპლინური გუნდის წევრების თქმით, ბავშვის ფუნქციური და სოციალური უნარების შეფასებას აკეთებენ თვითონ, მაშინ როცა ბავშვის სტატუსის განსაზღვრა ხდება.

„სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესება სკოლაში ხდება მეგობრებთან, კლასელებთან ურთიერთობით, რასაც მასწავლებელი გეგმავს. იგივე უნარებზე კარგად მუშაობს დღის ცენტრებიც. რაც შეეხება სტრუქტურირებულ ფორმას ან შეფასების ინსტრუმენტს, რომელსაც სკოლა გამოიყენებდა, ასეთი ფორმა მათ არა აქვთ.“

შესაბამისად, ბუნდოვანია ის საკითხი, თუ რას ეყრდნობიან აღმზრდელები მაშინ, როდესაც ბავშვის სოციალური და ფუნქციური უნარების გადაფასება ან გარკვეული მიზნების განსაზღვრა ხდება საჭირო.

თბილისის სპეციალისტების შემთხვევაში იგივე საკითხზე განსხვავებული დამოკიდებულებაა, მულტიდისციპლინური გუნდის წევრის გადმოცემით კოგნიტური და წინარე აკადემიური უნარ-ჩვევების შეფასების კომპეტენცია სკოლის პერსონალს არ აქვს. საჭიროა ნაეკის სტანდარტირებული ტესტების და მაკლეინის მიერ ადაპტირებული სუბტესტების

გაცნობა/ტრენინგების ჩატარება (მათი გამოყენების მიზნით) მხოლოდ თეორიული ცოდნის მქონე მასწავლებლებისთვის.

რესპოდენტების არგუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლის პირველადი შეფასება ხდება სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის მიერ, რომლის შემდგომ შეფასებასაც ისგ-ს შედგენისთვის უნდა აკეთებდეს სკოლის ისგ-ს გუნდი, თუმცა სკოლის სივრცეში როგორ არის ეს ფუნქცია გადანაწილებული, ეს საკითხი ბუნდოვანია. სკოლის სპეციალისტებს არ აქვთ შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, რასაც პრობლემად მიიჩნევენ თბილისის სკოლის სპეციალისტები, დირექტორები და მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, განსხვავებული დამოკიდებულება რეგიონებში, სადაც მულტიდისციპლინური გუნდის წევრი თვლის, რომ სკოლის პერსონალს ბავშვის უნარების შეფასების კომპეტენცია აქვს. სპეციალისტები საუბრობენ სირთულეებზე, რომელიც ბავშვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან მოჰყვება, როგორცაა ფუნქციური უნარების განვითარება, როგორც ზემოთ ავლინებთ, ბაღის გარემოშიც არის ინკლუზიური განათლება, თუმცა რა მიზეზები განაპირობებს სკოლის გარემოში ფუნქციური უნარების განვითარების სირთულეებს, ეს საკითხი ბუნდოვანია.

რეგიონებში ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოვლინდა გასათვალისწინებელი სირთულეები, რომელიც კომპლექსურია და სწრაფ რეაგირებას საჭიროებს. სკოლის სპეციალისტების განმარტებით ძალიან რთული პროცესია მათ სკოლაში ბავშვის ჩარიცხვა. ისინი აღნიშნავენ, რომ მას შედეგ, რაც სკოლა ან სოციალური მომსახურების სააგენტო დაადგენს, რომ ბავშვი არის ან კანონთან კონფლიქტში ან რთული ქცევის, სხვა გარე რესურსი ამოწურულია და დგება საჭიროება ჩაირიცხოს შესაბამის სკოლაში და მიმართავენ სამინისტროს. სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი ახდენს ამ ბავშვის შეფასებას. შეფასების დროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ხვდება როგორც ბავშვს, ასევე მის მშობლებს. დაკვირვების შედეგად მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ადგენს არის თუ არა ბავშვის შესაბამის სკოლაში ჩარიცხვის საჭიროება. ამის განსაზღვრის შემთხვევაში, დაახლოებით 6 თვემდე აკვირდებიან ბავშვს, იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა დაიდოს იმის შესახებ, უნდა ჩაირიცხოს თუ არა ბავშვი აღნიშნულ სკოლაში. პროცესი ართულებს ბავშვის ადაპტირებას გარემოსთან, რადგან მის ჩარიცხვამდე სასწავლო პროცესი დაწყებულია. დიდია ალბათობა, რომ ამ 6 თვის განმავლობაში ჩაიდინოს დანაშაული, ან ყველაზე მსუბუქი, პირობითი სასჯელი მიიღოს.

„ბავშვი, როდესაც მოდის ჩვენს სკოლაში, ეს იმას ნიშნავს, რომ არის რთული ქცევის, რომელთანაც მუშაობა და მისი სასწავლო პროცესში ჩართვა ძალიან კომპლექსურია. საკმაოდ დიდი ხანია ვამბობ, რომ რეფერირების პროცესი აუცილებლად უნდა გამარტივდეს.“

სპეციალისტები ამ პრობლემიდან გამოსავალს ხედავენ დაკვირვების დროის შემცირებაში (მაქსიმუმ 1 თვე), რაც თავისთავად გულისხმობს კანონში ცვლილებების შეტანას, რათა ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების პროცესის ვადები შემცირდეს და სწრაფად მოხდეს მისი გადამისამართება შესაბამის სკოლაში. მეორეს მხრივ, შესაძლებელია დაკვირვების ვადები

განისაზღვროს თითოეული ბავშვის საქმიდან გამომდინარე, ქცევის სირთულის გათვალისწინებით.

სკოლის დირექტორის აზრით, რაც უფრო მოკლე ვადებში მოხდება ბავშვზე დაკვირვება, ეს უკეთესი შედეგის მომტანი იქნება. მისივე განმარტებით, რეფერირების კანონში ზოგადად უნდა მოხდეს საკმაოდ ბევრი ცვლილება.

“ ამჟამად მუშაობს გუნდი, სადაც ჩართულია იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის, განათლების სამინისტრო და ა.შ. რომლებსაც აქვთ შეხება არასრულწლოვან ბავშვებთან. ვიმედოვნებთ, რომ რეფერირების კანონი უფრო მოქნილი და ბავშვზე მორგებული იქნება. ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პოლიციასაც უნდა ჰქონდეს სკოლაში გადამისამართების უფლება, რა თქმა უნდა სოციალური მომსახურების სააგენტოს გავლით. მაგალითად უბნის ინსპექტორი თუ აღმოაჩენს ბავშვს, რომელიც არის კრიმინალით დაკავებული და მას შველა სჭირდება, სწრაფად უნდა მოხდეს რეაგირება. “

თავი IV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი

შედეგებზე ორიენტირებული განათლების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია მოსწავლე, პირველ ყოვლისა, ეუფლებოდეს იმ სასწავლო შედეგს/შედეგებს, რაც მის შესაძლებლობებს შეესაბამება და რის საშუალებასაც მისი განვითარებისა და განათლების დონე გვაძლევს. მოსწავლის სწავლებისას სულაც არ არის აუცილებელი, მექანიკურად ხდებოდეს ორიენტირება იმ კლასისთვის განსაზღვრულ შედეგზე/შედეგებზე, რომელშიც მოსწავლე ირიცხება. ასეთი მიდგომა კონკრეტული მოსწავლისთვის შეიძლება სრულად გაუმართლებელი იყოს. შეცდომა იქნება, მოსწავლე, თანაკლასელების მსგავსად, ორიენტირებული იყოს სასწავლო გეგმით დადგენილ კონკრეტულ შედეგზე მაშინ, როცა მას ამ შედეგის მისაღწევად საჭირო ფუნდამენტური უნარ-ჩვევები ჯერ არ აქვს განვითარებული. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება განათლებისა და განვითარების კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც განვითარების ყოველი მომდევნო ეტაპი წინამორბედი ეტაპის წარმატებით გავლას გულისხმობს. ბევრად მნიშვნელოვანია საგნობრივი პროგრამიდან იმ შედეგის/შედეგების მიმართულებით მოხდეს მუშაობა, რომელიც ადეკვატური და მისაწვდომია კონკრეტული მოსწავლისთვის. შესაბამისი უნარების განვითარებით უნდა შეიქმნას წინაპირობა მომავალში გაცილებით რთული მიზნების მისაღწევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სწავლა - სწავლების დროს პედაგოგი ინდივიდუალური მიდგომით მიდის მოსწავლესთან. მათ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომა, რადგან ყველა ბავშვს განსხვავებული უნარები და შესაძლებლობები აქვს.

„შესაძლებელია ვიღაცამ მოყვეს და ვიღაცამ ხელი დაადოს სურათს, გაკვეთილის გეგმა უნდა ქონდეს ყველა მასწავლებელს გაკვეთილის დაწყების წინ, ასევე მასწავლებელმა მაქსიმალურად მოტივაცია უნდა მისცეს, რომ აქტიურად იყოს გაკვეთლის პროცესში ბავშვი ჩართული და სწავლა - სწავლება კეთებით რომ უნდა ხდებოდეს ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან დიდი გამოწვევები გვაქვს როდესაც ღმა ინტელექტუალური ჩამორჩენის ბავშვს ვასწავლით ქიმიას და ფიზიკას, ადვილი არ არის და ამიტომ ვცდილობთ, რომ ეს საგნებიც კეთებით ვასწავლოთ“ - აღნიშნავს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი.

გარდა ინტერვიუებისა, სასწავლო და სააღმზრდელო ნაწილზე განხორციელდა დაკვირვება თბილისისა და რეგიონის სამიზნე სკოლებში. შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში ხდება მასწავლებლის მხრიდან ინდივიდუალური მიდგომა განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვებთან. ისინი იყენებდნენ დამხმარე ნივთებს თვალსაჩინოებისათვის საგაკვეთილო საკითხის ახსნის პროცესში, თუმცა ასევე დაკვირვების შედეგებით, ზოგიერთ სკოლაში ნაკლები იყო სოციალური განმტკიცება ბავშვის სწორად განხორციელებულ ქცევაზე ან შესრულებულ დავალებაზე.

სწავლებასთან დაკავშირებით რეგიონის სპეციალისტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გაკვეთილის ხანგრძლივობის პრობლემა. მათი თქმით, იქედან გამომდინარე, რომ გაკვეთილის ხანგრძლივობა არის 45 წუთი, ბავშვებს უჭირთ ერთ სივრცეში გაჩერება. განსაკუთრებით როცა

სკოლა მცირერიცხოვანია და კლასში შესაძლოა ერთი ან ორი ბავშვი იჯდეს, ამ შემთხვევაში მისთვის 45 წუთიანი გაკვეთილი ინდივიდუალური მუშაობის ტოლფასია.

ეროვნული სასწავლო გეგმის V თავის 30-ე მუხლი (სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება) საშუალებას იძლევა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ჩაერთოს შინ სწავლების პროცესში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება აღნიშნული გუნდის დასკვნის საფუძველზე განსაკუთრებული დასაბუთების შემთხვევაში, ვინაიდან მთავარი მიზანია, ყველა მოსწავლეს მიეცეს საშუალება, განათლება მიიღოს სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შინ სწავლების მინიმალური საათების რაოდენობა, თუმცა მიდგომა აქაც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოსწავლის საჭიროებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ შინ სწავლების პროცესში სკოლა რთავს შესაბამისი საგნის პედაგოგებს, საქმეში მხოლოდ საჭიროებების შემთხვევაში ჩაებმება სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ეხმარება საგნის მასწავლებელს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი, 2014)

სპეციალისტების შემთხვევაში, ერთ - ერთი დავის საკითხია შინსწავლების მომსახურება, რომლის მიღება მოსწავლეს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ის რეაბილიტაციას გადის ერთ თვეზე მეტ ხანს. პრობლემაც სწორედ იმაშია, რომ სპეციალისტების თქმით მათ ჰყავთ მოსწავლეები, რომელთაც უწევთ რეაბილიტაცია, თუმცა ისინი შინ სწავლების მომსახურებას ვერ მიიღებენ დროზე დაწესებული შეზღუდვების გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ზოგიერთი სკოლა იყენებს განსხვავებულ მეთოდს. კერძოდ, ერთ-ერთ სკოლას გამოცდილებაში აქვს დისტანციური სწავლება, რომელიც გულისხმობს სკაიპის მეშვეობით კომუნიკაციას. დისტანციური სწავლება შესაძლოა გამოყენებული იყოს ისეთ შემთხვევაში, როდესაც დიდ მანძილზე ფიზიკურად ვერ ხერხდება მოსწავლის ტრანსპორტირება და შესაბამისი განათლების მიღება, ან როცა მოსწავლე ცხოვრობს სხვა ქალაქში და ეს არის მისთვის განათლების მიღების ერთ-ერთი გზა.

შინსწავლებასთან დაკავშირებით ხორციელდება მონიტორინგი, რომლისთვისაც სკოლაში იწარმოება ჟურნალი, სადაც გაწერილია პედაგოგის ვიზიტები, ხოლო მოსწავლის მონიტორინგის განმახორციელებელი ინსტრუმენტი მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმაა. თუმცა საერთო შეფასებით სპეციალისტები მიესალმებიან ინდივიდუალური გრაფიკისა და შინსწავლების მომსახურების არსებობას.

ინტერვიუებმა სამიზნე ჯგუფებთან აჩვენა, რომ ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ხდება მოსწავლის გადასვლა სკოლა - პანსიონიდან საჯარო სკოლაში.

„ეს თითქმის ცალმხრივი მოძრაობაა, ბავშვები გადმოდიან საჯარო სკოლიდან ჩვენს სკოლაში და თითქმის აღარ ხდება პირიქით. ამ პროცესის გასაუმჯობესებლად მისაღებია ჩართული იყოს ადმინისტრაცია, პედაგოგები, სპეციალისტები.“ - აცხადებს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი.

მეორეს მხრივ, დირექტორმა განაცხადა, რომ მის შემთხვევაში სიტუაცია გაუმჯობესებულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ როდესაც ინკლუზიური განათლება ინერგებოდა ჰყავდა 180 მოსწავლე, ახლა კი ეს რაოდენობა თითქმის განახევრებულია. ამაში ყველაზე კარგი ის არის,

რომ მოსწავლეები გადადიან საჯარო სკოლებში, რაც სკოლა - პანსიონების შრომის შედეგია. ამას გარდა, არის შემთხვევებიც, როდესაც მშობელი ვერ ეგუება შვილის შესაბამის სკოლაში ტარებას და ამ მოტივით გადაყავს საჯარო სკოლაში.

» სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ქცევის სირთულეები

ქცევა არის გარკვეული, ჩამოყალიბებული ურთიერთობებზე ადამიანის გარემოსთან. ქცევა განისაზღვრება ადამიანის უნარით, შეცვალოს საკუთარი ქმედება გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით.

ქცევის სირთულეები ხშირია განვითარების მრავლობითი დარღვევების დროს, განსაკუთრებით სკოლასთან ადაპტირების პირველი წლები და მოზარდობის ასაკი მძიმედ აისახება ზოგიერთ ბავშვზე და რთული ქცევის ფორმით ვლინდება.

ქცევა მაშინ არის პრობლემური თუ ის:

- ❑ ხელს უშლის ბავშვს სოციალურ ურთიერთობებში;
- ❑ სახიფათოა თავად ბავშვისთვის ან სხვებისთვის;
- ❑ ხელის შემშლელია ბავშვის განვითარებისთვის;
- ❑ ის ხდება ძალიან ხშირად (ჭარბი ქცევა) ან ძალიან იშვიათია (დეფიციტური ქცევა);
- ❑ ან ის ხდება არასწორ ადგილას თუ დროს;

რეგიონების მულტიდისციპლინური გუნდის წევრის განცხადებით რთული ქცევის მართვა სკოლებისთვის ძალიან კომპლექსურია და სკოლის გარემოში ხდება რთულ ქცევაზე დაკვირვება. მისი ხედვით, რეგიონების სკოლის ახლანდელი გარემო მზად არის რთული ქცევის მართვისთვის.

„რთული ქცევა ისე არ ხდება თუ რამე წინაპირობა არ არის. ამაზე ვმუშაობთ ხოლმე და რეკომენდაციებს ვაძლევთ რა შეიძლება ქნას სკოლამ და მშობელმა, რომ თავიდან აიცილოს და დაამშვიდოს.“ - აცხადებს რეგიონების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი.

რეგიონის მეორე მულტიდისციპლინური გუნდის წევრის განცხადებით, ქცევის მართვის ნაწილი ნამდვილად დასახვეწია. ყველაზე მეტად რთული ქცევის ბავშვებთან სამუშაოდ მასწავლებლებს მობილიზება უჭირთ.

„განა არ ფიქრობენ, მასწავლებლებიც ფიქრობენ, მეც ვფიქრობ ხოლმე, რაღაც ლიტერატურასაც ვეცნობი და მერე ვაწვდით ინფორმაციას „აბა ეს მოსინჯე, აბა ესე ცადე“, მაგრამ ვისთან რა მიდგომა ამართლებს ეს ცოტა რთული საკითხია. ხშირ შემთხვევაში ისევ ისე რჩება, რთულ ქცევად.“ - აცხადებს რეგიონების მულტიდისციპლინური გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

განსხვავებული დამოკიდებულება გამოხატა საკითხის მიმართ თბილისის მულტიდისციპლინური გუნდის წევრმა. ის აღნიშნავს, რომ რთული ქცევის მართვისთვის აღმზრდელის, საგნის მასწავლებლების, სპეც. მასწავლებელის მიერ, არ/ვერ ხდება რთული ქცევის გამოვლენის სიხშირის, ხანგრძლივობის და ინტენსივობის აღწერა/იდენტიფიკაცია.

თავი V. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი განათლებაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი

საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო პროცესის სწორად წარმართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა სწორად შერჩეული ადამიანური და პროფესიული რესურსი, რომელიც ჩართულია სსსმ მოსწავლის განათლებაში. ამ მიმართულებით გამოიკვეთა რიგი საკითხები. მათ შორის არის, სოც. მუშაკის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ერთ - ერთი სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიუს დროს კარგი იქნება თუ თითოეულ სკოლაზე მიმაგრებული იქნება ერთი სოც. მუშაკი. ეს მეთოდი გაამარტივებდა კომუნიკაციას სკოლასა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის და ეს თავის მხრივ გაზრდიდა სააგენტოს მომსახურების ხარისხს.

„ყველაზე მნიშვნელოვანია სოც. მუშაკების უნარების განვითარება. დღეს ერთი სოც. მუშაკი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ჩემი აზრით უნდა მოხდეს პროფილება დაყოფა სოც. მუშაკების ფუნქციების, აუცილებელია სოციალური მომსახურების სამსახურის გააქტიურება.“

მეორეს მხრივ, გაჟღერდა მოსაზრება, რომ ამ კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რადგან სკოლებს აქვთ უფლება და საშუალება, რომ იმ შემთხვევაში თუ ბავშვს აქვს ოჯახური ან სხვა პრობლემა მიმართავენ სოც. მუშაკს მომსახურების მიღებისთვის. სოციალური სამსახურები შესაძლოა დაეხმარონ ბავშვებს მინდობით ოჯახში წაყვანაზე.

„ძალიან ხშირად მიმიმართავენ და დამიწერია წერილი როდესაც ეჭვი მქონია სახლში ბავშვებზე ძალადობის კუთხით, ასევე დღის ცენტრის მომსახურება აქვს ჯანდაცვას და ძალიან ბევრი ბავშვი სკოლის მერე მიდის იქ. თუმცა, იყო შემთხვევებიც, როდესაც თვითონ სააგენტოსგან წამოვიდა უარყოფითი დამოკიდებულება სკოლების მიმართვიანობის სიხშირესთან დაკავშირებით.“ - აცხადებს დირექტორი.

სააგენტოს მომსახურების გარდა ჯანდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობა ხდება სადაზღვევო პოლისების კუთხითაც, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები. ერთ - ერთმა დირექტორმა ისიც განაცხადა, რომ ჯანდაცვას ჰქონდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც წელიწადში ორჯერ ასეთ დაწესებულებებში ტარდებოდა ღრმა სამედიცინო დახმარება, რომელსაც აკეთებდა ხელშეკრულებით ორგანიზაცია, რომელსაც სკოლა არაფერს არ უხდიდა. ყველაფერთან ერთად ადგილზევე კეთდებოდა დიაგნოსტიკა და ამის საფუძველზე გასცემდნენ რეკომენდაციას რა კუთხით სჭირდებოდათ ბავშვებს დახმარება. დღეს ეს პროცესი უფრო გართულებულია, რადგან მშობელს, რომელიც რეგიონიდანაა ჩამოსული უწევს ბავშვის კლინიკიდან კლინიკაში ტარება.

არდადეგების პერიოდში პანსიონატში მცხოვრები მოსწავლეები თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან სასწავლო პროცესის განახლებამდე. თუმცა ის მოსწავლე, რომლის მშობელსაც დედობა აქვს შეზღუდული, ასეთი მოსწავლეები არდადეგებზე სოციალური მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირებულ ოჯახებში განთავსდებიან.

„ჩვენ ავიყვანეთ სოციალური მუშაკი შტატით და არ ვთვლი, რომ ეს შტატი არ მჭირდებოდა. გაუსაძლისი იყო 365 დღიანი მუშაობა თვითონ ხელმძღვანელისთვის და ასევე დაწესებულების თანამშრომლებისთვის და ამ კადრის აყვანით პირველი წელი იყო წელს, როდესაც მე არცერთი ბავშვი არ მყავდა პანსიონში განთავსებული ზაფხულის პერიოდში. ყველას მოეძებნა მიმღები ოჯახი ან კიდევ მცირე საოჯახო სახლი. ამის საშუალებით ჩვენც დავამთავრეთ პანსიონური მომსახურება სკოლის დამთავრებასთან ერთად.“ - სკოლის დირექტორი.

მნიშვნელოვანი საკითხია სხვა სპეციალისტების დეფიციტიც. აუცილებელია სკოლას ჰყავდეს ოკუპაციური თერაპევტი. კონკრეტულად ოკუპაციური თერაპევტის დაქირავების პრობლემა სამწუხაროდ მხოლოდ მის მოძებნაში არ მდგომარეობს, არამედ მის არარსებობაში. რაც კიდევ უფრო ართულებს სწავლის პროცესს უსინათლოებისთვის, რომელთათვისაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია ოკუპაციური თერაპევტის არსებობა სკოლაში. ასევე საჭიროა მობილობის ტრენერი, დირექტორის განცხადებით მათ ყავთ ერთი ასეთი კადრი და თვლის, რომ მათი რაოდენობა სკოლაში უნდა გაიზარდოს. აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობენ რეგიონის სკოლებშიც, მათი თქმით სირთულეს წარმოადგენს ისეთი კადრების არა მხოლოდ გადამზადება, არამედ მოძიებაც კი, როგორცაა ოკუპაციური თერაპევტი. ასევე შეუთავსებლობაა მოსწავლეებისა და სპეციალისტების რაოდენობას შორის.

ამასთან ერთად, სკოლების უმეტესობისთვის დგას კადრების შენარჩუნების პრობლემაც, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ანაზღაურებასთან. არსებული ტენდენციით ახალგაზრდა, რომელიც მუშაობას იწყებს სკოლაში, რჩება დაახლოებით ორი წელი, იღებს კვალიფიკაციას, გამოცდილებას აგროვებს, თუმცა დაბალი ხელფასების გამო იწყებს შედარებით მაღალანაზღაურებად სამსახურს და საჭირო ხდება ისევ თავიდან ახალი კადრის მოძებნა, რომელიც იგივე გზას გადის რასაც მისი წინამორბედი.

„ძალიან ხშირად იცვლება კადრი. მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას და ხდება მაღალკვალიფიციური კადრი, უცებ სთავაზობენ მაღალანაზღაურებად სამსახურს და მიდის. ფაქტიურად ამის გამო მე დავკარგე ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი, რადგან იქ სადაც მიდიან დრო უფრო მეტი აქვთ, ხოლო ჩვენთან დრო ცოტა რჩებათ. ანაზღაურების კუთხით იღებენ გადაწყვეტილებას, რადგან სხვა სკოლებში შეიძლება ყავდეს მხოლოდ ერთი ბავშვი, ხოლო აქ უკვე 50-მა ბავშვმა მოიყარა თავი და სათითაოდ მათთვის დასაწერი აქვს ისგ, თუმცა ანაზღაურება არის ჩვეულებრივი, როგორც სხვა სკოლებში.“

მეორეს მხრივ, რამდენიმე დირექტორის განმარტებით მათ არ აქვთ კადრების გადინების პრობლემა. ვაკანსიის გამოცხადებისთანავე იღებენ საკმარისი რაოდენობის განცხადებებს და მათგან კვალიფიციური ამორჩევაც არ არის კომპლექსური, კადრების მოძიება უფრო გართულებულია რეგიონებში და ხელფასი კიდევ უფრო ნაკლები. ისეთი დეფიციტური კადრების მოძიებისას, როგორცაა ოკუპაციური თერაპევტი, ხშირად მიმართავენ შიდა წყაროებს, სხვა სკოლებს, განათლების სამინისტროს და ამასთან ერთად განცხადებას ათავსებენ ვაკანსიის მაძიებელთა საიტებზე, თუმცა შედეგი ხშირად არაფრის მომცემია. თუმცა ეს არ ეხება

ოკუპაციურ თერაპევტს, რომელზეც არცერთი განაცხადი არ ფიქსირდება. თუმცა, რა განაპირობებს ზოგიერთ სკოლაში კადრის გადინების პრობლემას და რატომ არ ვხვდებით სხვა სკოლებში იგივე სირთულეებს, ამის მიზეზები ბუნდოვანია.

ერთ-ერთ სკოლის დირექტორის თქმით, მათ ჰყავთ ფსიქოლოგი, ორი სპეც. პედაგოგი, აქვთ რესურსების ოთახი. მისი განმარტებით ფსიქოლოგი და სპეც. პედაგოგი მუშაობენ ბავშვებთან სენსორულ ოთახში. თუმცა რა უნარებზე მუშაობს ფსიქოლოგი სენსორულ ოთახში და აქვს თუ არა სენსორულ დისფუნქციაზე მუშაობის შესაბამისი კვალიფიკაცია ან სუპერვიზია, ეს საკითხი გაურკვეველია. ამიტომ, მნიშვნელოვანია ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის შემთხვევაში ნათლად იყოს განსაზღვრული თითოეული თერაპევტის სამუშაო აღწერილობა მათი შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ გარდა ამისა ჰყავთ სურდო პედაგოგი და მეტყველების პედაგოგი, რომლებიც წარსულში არიან გადამზადებულები.

სკოლაში კადრების სამუშაო აღწერილობასთან დაკავშირებით არსებობს პედაგოგის სტანდარტი, სკოლის დირექტორის სტანდარტი, არ არსებობს აღმზრდელის, დამის ძიძის ასისტენტის სტანდარტი, თუმცა სკოლას აქვს განსაზღვრული შინაგანაწესით მათი ფუნქციები. სპეციფიკიდან გამომდინარე აქვთ თანამდებობრივი ფუნქციები სწორედ შინაგანაწესს მიბმული. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ ამ კუთხით სტანდარტების კიდევ დახვეწა საჭირო და ამ პროცესში სკოლების ჩართვაც მნიშვნელოვანია.

სკოლის დამატებითი სპეციალისტების კვალიფიკაციაზე საუბრობს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი:

„კვალიფიციური კადრის სკოლაში შესანარჩუნებლად აუცილებელია შრომის ანაზღაურების გაზრდა. მიმაჩნია რომ აუცილებელია ახალი კადრების მოზიდვა, ზოგიერთი ძველი კადრის ჩანაცვლების მიზნით, და მათი გადამზადება.“

სკოლა - პანსიონები სკოლის გუნდში საჭიროებენ არამარტო საგნის მასწავლებლებს, არამედ დამატებით სხვა სპეციალისტების ჩართულობას, როგორცაა ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი, ჟესტების თარჯიმანი, კლასის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი და საჭიროების შემთხვევაში სხვა მიმართულების სპეციალისტი. საგნის მასწავლებლებსაც სჭირდებათ ისეთი უნარების დასწავლა და გაუმჯობესება, რაც საჯარო სკოლის მასწავლებლებს ნაკლებად სჭირდებათ. ამიტომ სპეციალიზებული სკოლების გუნდს განსაკუთრებულად და სისტემატიურად სჭირდება გადამზადება.

სკოლის ადამიანური რესურსის გასაძლიერებლად თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ტრენინგებში. თუმცა როგორც ისინი აღნიშნავენ ეს ტრენინგები ძირითადად არის მასწავლებლის სახლის მიერ შეთავაზებული უფასო ტრენინგები, ხოლო ფასიანი ტრენინგების გავლის შესაძლებლობა მასწავლებლებს საკუთარი ხარჯით ნაკლებად აქვთ. სკოლის თემის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ კადრების გადამზადება და ტრენინგები აუცილებელია და პირდაპირ აისახება მოსწავლეების განვითარების დადებით შედეგზე. თუმცა მხოლოდ ერთჯერადი გადამზადება არ არის საკმარისი. რაც შეეხება იმ ტრენინგის შინაარსს, რომელსაც მასწავლებლები გადიან, ატარებს თეორიულ ხასიათს. სპეციალისტები სურვილს გამოთქვამენ გაიარონ ტრენინგები, რომელსაც ექნება ძირითადად პრაქტიკული მხარე, რაც თავისთავად

გულისხმობს თეორიული ნაწილის შემდგომი პრაქტიკული ნაწილით და სუპერვიზიით გაძლიერებას.

„ტრენინგზე მიღებული ცოდნა ძალიან კარგია, მაგრამ მას უნდა უმყარებდეს მხარს ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც და ამის საკუთარი თვალთ ნახვა, ტრენინგების იქეთ კიდევ უფრო კარგი შედეგის მომტანი იქნება“ - ამბობს ერთ-ერთი დირექტორი.

ამ მოსაზრებას ემხრობიან რეგიონის სკოლის წარმომადგენლები. მათი სკოლის სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნება ტრენინგებს უფრო პრაქტიკული სახე ჰქონდეს.

მშობლების განმარტებით სკოლის თანამშრომლებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება, რადგან მათი ცოდნა უმეტეს შემთხვევაში მათ გამოცდილებას და ათვისების უნარზე გადის. მათი თქმით, აუცილებელია თანამშრომლებმა იცოდნენ მოსწავლეებთან სწორი მიდგომა, რომ ისინი დამოუკიდებელ ადამიანებად გაიზარდონ. ერთ-ერთი მშობელი სკოლის კადრების ტრენინგებთან დაკავშირებით ინტერვიუს დროს აცხადებს:

„ჭირდებათ გადამზადებ, ჩვენს პედაგოგებს მათი გამოცდილებიდან აქვთ ის ცოდნა მიღებული და იმ ცოდნის შეძენაც პირად უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული, ზოგმა მეტად მოახერხა და ზოგმა ნაკლებად და ზოგმა საერთოდ ვერ მოახერხა, ამ კუთხითაც აუცილებელია მუშაობა“

სკოლის თემის განცხადებით კარგი იქნება უცხოური გამოცდილებების გაზიარებაც, რადგან ისინი ყოველთვის ახალ და თვალსაჩინო მეთოდებს სთავაზობენ. ტრენინგების გავლის კუთხით პრობლემა ისიც, რომ ძალიან ბევრი ტრენინგია ფასიანი და სკოლის სპეციალისტები ვერ იხდიან მათი დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე. ერთ - ერთ სკოლის დირექტორის თქმით, მათ ჰყავთ ფსიქოლოგი, ორი სპეც. პედაგოგი, აქვთ რესურსების ოთახი. მისი განმარტებით ფსიქოლოგი და სპეც. პედაგოგი მუშაობენ ბავშვებთან სენსორულ ოთახში. ყავთ ასევე სურდო პედაგოგი და მეტყველების პედაგოგი, რომლებიც წარსულში არიან გადამზადებულები. ამავე დირექტორმა რეკომენდაციის სახით განაცხადა, რომ კარგი იქნება სამინისტრომ უზრუნველყოს სკოლის თანამშრომლები ტრენინგით სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.

გარდა ტრენინგებისა სასურველი იქნება სხვადასხვა სკოლის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაცვლა და ხშირი კომუნიკაცია. მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯად თვლიან სკოლის წარმომადგენლები სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სტიმულირებას. მიმდინარე ეტაპზე, სკოლასა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა ძირითადად ინფორმაციის გაცვლისა და დაკვირვების კუთხით შემოიფარგებლა. შესაძლებელია სტუდენტების რესურსის კარგად გამოყენება, შემდგომი დასაქმებისთვის ამ სკოლებში. თუმცა, როგორც დირექტორმა აღნიშნა ასეთი პრეცედენტი რვა წლის მანძილზე არ ჰქონიათ.

» **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდაჭერი სერვისები, პროგრამები**

გარდა იმ გაკვეთილებისა, რაც სკოლა - პანსიონის მოსწავლეებს ჩვეულებრივ უტარდებათ, ისინი დამატებით იღებენ სერვისებს, რომელიც მათ განვითარებისთვის სჭირდებათ.

სხვადასხვა სკოლას განსხვავებული რაოდენობის და ტიპის სერვისი აქვს. დამატებით სერვისებში გადის ისეთი ტიპის მომსახურებები, როგორცაა ფსიქოლოგის, სპეც. პედაგოგის, მეტყველების თერაპევტის, ფიზიკური თერაპევტის, არტ-თერაპევტის მომსახურებას.

ერთ-ერთ დირექტორი გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას დამატებით სერვისებთან დაკავშირებით:

„მე სადაც ვიყავი უცხოეთში შესაძლებელია ბავშვს ჰქონდეს გონებრივი შეზღუდვა, მაგრამ მათი ფიზიოლოგიური განვითარება ნორმაა, რადგან ისინი სექსუალურ ცხოვრებას ვერ მიყვებიან, მათ აქვთ მასტურბაცია გაკვეთილის პროცესში. ესტონეთში მინახავს მსგავსი ოთახი სადაც სპეციალისტი ასწავლის ამას, ამაზე ყველას ერიდება საუბარი მაგრამ საჭიროა, მშობელიც ვერ ხვდება, 17-18 წლის ბიჭია და ჭირდება რაღაც განტვირთვა და ამისათვის აუცილებელია იყოს სპეციალური ოთახი, ამის პრაქტიკაც არის უცხოეთში და ამის სპეციალისტიც ყავთ. ჩვენ გვაქვს რესურს ოთახი რომელიც გამოიყენება დამატებითი სერვისისთვის, გვექონია შემთხვევები როდესაც ბავშვი ყოფილა ძალიან აგრესიული და იმ მომენტში მომხდარა მისი განტვირთვა“

მშობლებმა სკოლაში არსებული თერაპიების შესახებ იციან მხოლოდ იმის ფარგლებში რაც მათ შვილს სჭირდება, ან გამოუყენებია. იმის გამო, რომ ხშირად არ ყოფნით კადრები, მშობლებს უწევთ ეს მომსახურება საკუთარი ხარჯებით, სკოლის გარეთ მიიღონ.

თავი VI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

სკოლებში სასწავლო რესურსები არათანაბრადაა მოცემული, ზოგიერთ სკოლაში არსებობს ბავშვის უნარებზე ადაპტირებული მასალა, მათ შორის ერთ - ერთ სკოლაში აქვთ ე.წ. დაფა - სტრიქონი, რესურს ოთახში აქვთ ხის სათამაშოები, რომელსაც იყენებენ მოტორიკის გასაუმჯობესებლად, აქვთ მცირე მხედველთათვის კონტრასტის შემქმენლი სამუშაო და სავარჯიშოები, ფერადი ფურცლები და ა.შ. სხვა სკოლის დირექტორის თქმით მათ აქვთ ბიბლიოთეკა, სასწავლო წიგნები, რომელიც კარგად აქვთ დარეგულირებული, რადგან ეს მასალა სკოლას მიეწოდება უფასოდ. აქვთ ჟესტური ენის სახელმძღვანელო. სკოლებში არსებობს საჩუქრად გადმოცემული მასალები, თვალსაჩინოებები და სასწავლო წიგნები. თუმცა, ზოგიერთი სკოლისთვის მინიმალური რესურსის ფლობის პრობლემა დგას, მაშინ როცა სხვა სკოლებში ამ კუთხით სირთულეები არ აქვთ, რადგან არის დაფინანსება, რომელიც სუბსიდირებას გულისხმობს. ეს აძლევს იმის საშუალებას, რომ იყიდოს ახალი საყინულე მაცივრებიც, რესურსები წრეობრივი მუშაობისთვის, საკანცელარიო საჭიროებისათვის და ა.შ.

ზოგიერთი დირექტორი მაინც გამოთქვამს სურვილს, რომ იყოს მეტი რესურსი, უფრო მეტი ადაპტირებული კლასები, მეტი ლაბორატორიები, რადგან არ აქვთ ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მაშინ როდესაც სკოლას ჰყავს კარგი სპეციალისტები ამ სფეროებში და ამის გამოყენება შეიძლება სწორად. დირექტორის განცხადებით ისეთი რესურსის შექმნა, რომელიც მზა მასალა იქნება სკოლის მოსწავლეებისათვის ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება. მეორე დირექტორის განცხადებით ესეც უნდა იყოს სტანდარტით რეგულირებული თუ რა ტიპის რესურსი უნდა ჰქონდეს სკოლა - პანსიონებს.

პრობლემა არის ისეთი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი დროულ მიწოდებასთან, როგორცაა ადაპტირებული მერხი და სკამი. როგორც გამოვლინდა, იმდენად ჭიანურდება ამ რესურსის შექმნა რომ მოსწავლე იზრდება და ვეღარ იყენებს ამ მერხს და სკამს. გარდა ამისა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ადაპტირებული სახელმძღვანელოები, რომელიც თითქმის ყველა სკოლაში მოთხოვნადია.

გარდა ამისა სპეციალისტები სურვილს გამოთქვამენ, რომ ჰქონდეთ მეტი რესურსი ფიზიკური აქტივობებისთვის:

„ამ მოსწავლეებთან, ახლა ვინც გვყავს, სამუშაოდ ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გვექონდეს სენსორული ოთახი. ძალიან ბევრი მატერიალური რესურსი გვჭირდება, აუზი ძალიან გაგვიხარებოდა რომ გვექონდეს. ძალიან გვინდა და დიდი ხანია ვითხოვ, რომ საქანელა გვექონდეს, აიწონა-დაიწონა, რბილი, უსაფრთხო ზედაპირით“

მშობლების თქმით სკოლას აქვს იმდენი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და ადაპტირებული მასალა, რაც მათ შვილებს სჭირდებათ. ამ კუთხით სკოლა უფრო მეტს აძლევს ვიდრე თავად შეუძლიათ ბავშვი უზრუნველყონ სახლის პირობებში.

„აქვთ ყველაფერია, მასწავლებლებიც თვითონ აკეთებენ რაღაც მასალებს და მოაქვთ. აქვთ ადაპტირებული მასალები“

მშობლების განმარტებით, დაბალ კლასებში, სახელმწიფომ მისცათ გამარტივებული სახელმძღვანელოები და ბუკები, ხოლო ზედა კლასებში გადასვლის შემდეგ პრობლემა გახდა სახელმძღვანელოები, რომლებიც არის ძალიან რთული.

{ „მე მე-7 კლასელი ბავშვი მყავს და იმას უჭირს ისტორიის დაზუსტება. ჩემი შვილი აუტისტია და მას აქვს აღქმის თავისებურება, თუ მისთვის გასაგებ ენაზე არ ხდება ინფორმაციის მიწოდება, ეს ინფორმაცია მისთვის არ არსებობს, ამიტომ თვალსაჩინოება ყველა ბავშვისთვის კარგია არა მარტო აუტისტი ბავშვებისთვის. ზედა კლასებში სახელმძღვანელოები გვიჭირს“ }

თავი VII. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის

მნიშვნელოვანი სირთულეები გამოვლინდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. სკოლებს არა მხოლოდ შენობის მცირე მონაკვეთებზე აქვთ მოსაგვარებელი ფიზიკური გარემოს საკითხები, არამედ ზოგჯერ ეს შენობის მთლიან სართულსაც კი ეხება.

„ჩვენს სკოლაში მეორე სართული ადაპტირებული კი არა საერთოდ გასარემონტებელია, ამიტომ სპორტი უტარდებოდათ პირველ სართულზე, რომ ბავშვის უფლება არ დარღვეულიყო და მეორე ვარიანტი იყო ის, რომ თუ პატარა ბავშვი იყო ხელით აგვყავდა, რაც არაფრით არ შეიძლება, რადგან მეორე სართულზე არის ის საჭირო სერვისები, რომელიც აუცილებელი იყო ბავშვისთვის. პირველი სართული ადაპტირებულია, თუმცა, ვფიქრობ, რომ კარგი იქნება საპირფარეშოების ხელახლა ადაპტირება, ძალიან კარგი იქნებოდა საცურაო აუზი რომ გაკეთებულიყო, კლასები გავაკეთეთ ზონებად მაგრამ კიდევ გვჭირდება ამისთვის ფული, იმიტომ, რომ ძალიან ბევრ ბავშვს უჭირს ჯდომა მისი ფსიქო ემოციური და სხვადასხვა დარღვევის გამო“ - აცხადებს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი.

ეს პრობლემები თავის მხრივ უკან სწევს სამუშაო პროცესს თანამშრომლებისათვის და უარყოფითად აისახება მოსწავლეების სწავლებაზეც.

მშობლებისთვის ყველაზე დიდ სირთულეს ტრანსპორტირება წარმოადგეს, მათივე თქმით სკოლა ტრანსპორტს ვერ ურუნველყოფს.

„ტრანსპორტის საკითხი უნდა იყოს რეგულარულად და დალაგებულად. ორი მხარეა საიდანაც ბავშვები დაყავთ ეს არის დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარე, ხოლო ჩემი შვილის შემთხვევა კიდევ უფრო მარტივია რადგან ჩემი შვილი გადაადგილდება, ხოლო ცერემბრალური დამბლის მქონე ბავშვი საერთოდ ვერ ახერხებს თავისით გადაადგილებას და აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ მათ საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი არ სვამენ და აქედან გამომდინარე მშობლებსაც ეზარებათ ბავშვების სკოლაში წაყვანა და ეს ბავშვები სკოლაშიც რომ არ წაიყვანო ხომ ცოდოა“ - აცხადებს ერთ-ერთი მშობელი.

თავი VIII. სპეციალიზებულ სკოლა - პანსიონებში სააღმზრდელო მომსახურების პროცესი

გარდა სასკოლო გარემოსა, სკოლა - პანსიონებში ფუნქციონირებს სააღმზრდელო ნაწილი, რომელიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის განვითარებაში. სააღმზრდელო ნაწილში ხდება სასკოლო გარემოში დასწავლილი უნარების განმტკიცება, ფუნქციური უნარ - ჩვევების შექმნა და სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესება. სააღმზრდელო ნაწილი ერთგვარად ამზადებს მოსწავლეს მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამიტომ საკლასო გარემოსთან ერთად მნიშვნელოვანია სკოლა - პანსიონებში სააღმზრდელო ნაწილის გაძლიერება და გაუმჯობესება.

სააღმზრდელო ნაწილის გაძლიერებას სამომავლოდ ერთ-ერთი დირექტორი ხედავს ტრენინგების დაგეგმვის გზით. მისი თქმით აღმზრდელებს სჭირდებათ გადამზადება ამ კუთხით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სააღმზრდელო ნაწილში სამუშაო სტანდარტს ქმნის თვითონ სკოლა, არ არის მოცემული აღმზრდელის სტანდარტი, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აღმზრდელის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, ყველა სკოლაში აღმზრდელი ბავშვის შეფასებას ახდენს სკოლის მიერ შექმნილი შეფასების სამუშაო ვერსიით, რაც არ არის სტანტარტული ყველასთვის და შესაბამისად აღმზრდელსაც ნაკლები შესაძლებლობა აქვს, რომ სწორად განსაზღვროს ბავშვისთვის სამუშაო მიზნები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღმზრდელის სტანდარტის არარსებობის გამო ყველა სკოლაში აღმზრდელის კომპეტენცია და უნარები განსხვავებულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ სააღმზრდელო ნაწილში ფუნქციური და სოციალური უნარების შეფასება და მასზე მუშაობაც დამოკიდებული იქნება აღმზრდელის უნარებზე და არა სტანდარტულ პროცედურაზე, როგორც სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში იქნებოდა.

მეორეს მხრივ იკვეთება ისევ ფინანსური პრობლემა, ხელფასის სახით, რაც ძალიან მცირეა. შესაბამისად, ნაკლებად მოტივირებული თანამშრომლების მუშაობაც ქვემოთ სწევს სააღმზრდელო ხარისხს.

„მე ვფიქრობ აღმზრდელების გადამზადება უნდა მოხდეს, და არა ერთჯერადად. აღმზრდელი თანამშრომლობს მასწავლებელთან, კლასის დამრიგებელთან, ადმინისტრაციასთან, მაგრამ ვფიქრობ ეს არ არის საკმარისი, რადგან აღმზრდელს გარდა ამისა აქვს დამატებითი ფუნქციები და როგორც პედაგოგების გადამზადება მიდის რამდენიმე წელია, არა მხოლოდ საგნობრივი არამედ მეთოდის, როგორ ვასწავლო, როგორ მივაწოდო სიტყვაზე ბილოგია, რა თქმა უნდა აღმზრდელსაც სჭირდება გადამზადება ინტენსიურად, როგორც მასწავლებლის სახლი ახორციელებს მასწავლებლებისთვის. აღმზრდელი არანაკლებ ფუნქციას ასრულებს. ფაქტიურად ისინი მათი მშობლებიც არიან. სამომავლოდ სააღმზრდელო ნაწილის გაუმჯობესებისთვის უფრო მეტი სივრცე თუ იქნება, აუდიო მასალა, მეტი რესურსი რომ ბავშვთან იმუშაო, მგონი უკეთესი იქნება“

სკოლები თავისი რესურსებითაც ცდილობენ ხელი შეუწყონ სააღმზრდელო მომსახურების გაძლიერებას. მაგალითად, ერთ - ერთმა სკოლამ შექმნა მშობლის და ოჯახის ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც გულისხმობს, სააღმზრდელო ნაწილის გახანგრძლივებას თბილისში მცხოვრები მოსწავლეებისათვის, მისი დადებითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ამ მოსწავლის

მშობლები ახერხებენ მუშაობას, მაშინ, როცა იციან, რომ მათი შვილი სკოლაშია. ასევე სააღმზრდელო ნაწილის გასაუმჯობესებლად, სკოლის დირექტორის თქმით, ისინი აქტიურად იყენებენ სააღმზრდელო ნაწილის ინდივიდუალურ გეგმას. სკოლას სააღმზრდელო ნაწილში აქვთ ქორეოგრაფიის წრე, ხელნაკეთობების წრე, ქსოვის, კულინარიის წრე და ა.შ.

„გვექონდა კითხვის კლუბი, მოდიოდნენ და უკითხავდნენ მოსწავლეებს. გვექონდა სხვადასხვა ფიზიკური აქტივობები, მათ შორის მხიარული სტარტები. სპორტის მასწავლებელმა ჩაგვართო ამ აქტივობებში. აღმზრდელები ვღებულობდით მონაწილეობას. შეიძლება უფრო მეტის გაკეთებაც, სპორტული აქტივობების მხრივ, თეატრებში, გამოფენებზე სიარული, პანსიონში დამრჩენი ბავშვებისთვის კარგი იქნებოდა მეტი გასვლითი აქტივობები“

კითხვაზე თუ რამდენად არის მიბმული ბავშვის საკლასო გარემოში დაგეგმილი აქტივობები სააღმზრდელო ან სხვა თერაპიული პროცესის აქტივობებთან, დირექტორმა განაცხადა, რომ წელიწადში ორჯერ - სამჯერ ხვდებიან აღმზრდელებს ფსიქოლოგი, მობილობის ტრენერი და უტარებენ ტრენინგებს. სხვა შემთხვევაში, იმის გამო, რომ გაკვეთილებზე ნასწავლი მასალის განმტკიცება სააღმზრდელო ნაწილშიც გაგრძელებულიყო, დირექტორის თქმით, მათ მოიფიქრეს სისტემა, რომლის მიხედვითაც, ასისტენტი რომელიც საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდა, ესწრებოდა ასევე სააღმზრდელო ნაწილს, ისინი ამ მეთოდით ცდილობენ შეინარჩუნონ კავშირი საგაკვეთილო და სააღმზრდელო ნაწილებს შორის. ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთი სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომელიც არ ვიცით რამდენად ეფექტურია ამ ორი სივრცის კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის.

მეორეს მხრივ, სააღმზრდელო მომსახურებასა და აკადემიურ განათლებას შორის კავშირისათვის სხვა სკოლაში იყენებენ შედარებით განსხვავებულ ფორმას, კერძოდ საინფორმაციო დაფას, რომლის საშუალებითაც უტოვებენ ინფორმაციას აღმზრდელებს. მიღებული ფორმაა ასევე საკორდინაციო ჟურნალი, რომელსაც ყველა პედაგოგი ამუშავებს. მასში იწერება ახალი კლასის თემა, დავალებები და ის საკითხები რაზეც მასწავლებელმა იმუშავა მოსწავლესთან.

მეორე სკოლის შემთხვევაშიც ჩანს ინდივიდუალური სტრატეგია, თუ როგორ მიეწოდებათ ერთ სფეროში დამუშავებულ საკითხზე მეორე სფეროს ინფორმაცია. თუმცა, როგორც ამ ორი სკოლის შემთხვევაში გამოჩნდა ინფორმაცია ძირითადად მიდის საკლასო გარემოდან სააღმზრდელო გარემოში და მისი შინაარსი დაკავშირებულია იმასთან, რა ისწავლა ბავშვმა კლასში და რა უნდა მოამზადოს როგორც საშინაო დავალება მომდევნო დღისთვის. შესაბამისად აღმზრდელს აქვს ინფორმაცია, როგორ უნდა მოამზადოს ბავშვი მომავალი დღისთვის. მაგრამ, მეორეს მხრივ, არის უნარები, რომელზეც სააღმზრდელო ნაწილი დამოუკიდებლად მუშაობს (მაგ: ფუნქციური უნარები), ამ შემთხვევაში არ ჩანს ინფორმაციის გაცვლა პირიქით, რამდენად გამოიყენა კლასში ის დასწავლილი თვითმოვლის უნარები ბავშვმა, რომელზეც სააღმზრდელოში იმუშავა. (მაგ: გახსნა თუ არა ჩანთა დამოუკიდებლად, ჩამოკიდა თუ არა ქურთუკი საკიდზე და ა.შ.)

აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ კომუნიკაცია საკლასო და სააღმზრდელო პროცესს შორის იყოს უფრო სტრუქტურირებული, მათ მიერ განსაზღვრული სამუშაო მიზნები შეთანხმებული იყოს და ლოგიკურად უკავშირდებოდეს ერთმანეთს, შესაბამისად თითოეული

მიზნის განხორციელების მონიტორინგიც ლოგიკურად უკავშირდებოდეს ორივე მიმართულებას.

დირექტორის თქმით სააღმზრდელო ნაწილში, თითოეულ ბავშვზე მორგებული პროგრამის შედგენაში დაეხმარებოდა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მეტი სამუშაო მასალა და ტექნიკურად აღჭურვილი კლასები. სააღმზრდელო ნაწილის გასაუმჯობესებლად, პედაგოგის რეკომენდაციით, კარგი იქნება თუ დაემატება კითხვის კლუბი, საწრეო მუშაობები. ამასთან ერთად აღმზრდელები მუშაობენ სოციალური უნარების გაუმჯობესებაზეც. მეორეს მხრივ, როგორც ინტერვიუს დროს გაჟღერდა, საზოგადოებაში შემორჩენილია უარყოფითი დამოკიდებულება პანსიონების მიმართ, თუმცა აღმზრდელების თქმით, ისინი ყველაფერს აკეთებენ სააღმზრდელო ნაწილის გასაძლიერებლად, პირველ რიგში ცდილობენ, რომ მოსწავლეებს შეუქმნან ოჯახური გარემო. მიუხედავად ყველაფრისა სააღმზრდელო მომსახურება კიდევ საჭიროებს დახვეწას. ერთ-ერთი ფსიქოლოგის თქმით, პანსიონური სწავლების დროს ბავშვისთვის ოჯახს სკოლა ცვლის, ამიტომ სკოლამ უნდა მიაწოდოს ბავშვს ყველა ის სოციალური ღირებულება, რასაც ის ოჯახში მიიღებდა, მათ შორის სკოლის გარეთ აქტივობები. თუმცა, ისევ რესპოდენტის განმარტებით, ამ შემთხვევაშიც ფინანსურ წინააღმდეგობას აწყდებიან სპეციალისტები.

„აბსოლუტურად ჩვენი პასუხისმგებლობაა ბავშვების თეატრში წაყვანა, სხვადასხვა გასართობ ცენტრებში გაყვანა. აი ამის საშუალება რომ ჰქონდეს სკოლას, ძალიან კარგი იქნებოდა, თუმცა, როგორც კი რაიმე ღონისძიებას დავეგეგმავთ, იქ უკვე იმდენი რაღაც არის გასათვალისწინებელი. მე უნდა ვმუშაობდე იმაზე, რომ თვითონ დამოუკიდებლად იყიდონ მათთვის საჭირო ნივთები და საგნები, უნდა ვმუშაობდე, იმაზე, რომ როცა შევლენ კაფეში იქნება თუ ბარში, როგორ მოითხოვონ მენიუ, როგორ მოახერხონ და მოახდინონ ხალხთან ურთიერთობა, მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება თანხები და ბუნებრივია ეს ხელს გვიშლის. სკოლას არ აქვს უფლება, რომ მე დამაფინანსოს. მე ჩემი ბიუჯეტით ამას ვერ გავაკეთებ. იმდენი რაღაც ბიუროკრატიული საკითხია გასავლელი“ - აღნიშნავს სკოლა პანსიონის თანამშრომელი.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სკოლა - პანსიონში, სპეციალისტების ხედვით, აღმზრდელები ძალიან კარგად მუშაობენ, გაყავთ ბავშვები გარეთ, სწავლობენ სივრცითი ორიენტაციის უნარებს, შესაბამისად ფლობენ ხელჯოხის მოხმარების ტექნიკებს და ჯოხის დახმარებით გადაადგილდებიან. მათ შემთხვევაში სოციალური ინტერაქციის პრობლემა არ დგას.

იმისთვის, რომ მომზადდეს თითოეულ ბავშვზე მორგებული სამუშაო პროგრამა, სააღმზრდელო ნაწილს დაეხმარებოდა შემუშავებული ფორმა სადაც ძირითადი იდეა რაც უკვე გაწერილია პროგრამაში დარჩება უცვლელი. თუმცა ის, რომ დღეს დღეობით არ არსებობს სტანდარტული სააღმზრდელო ფორმა თითოეული მოსწავლისთვის, არ უქმნის სირთულეებს სააღმზრდელო მომსახურების პროცესში ჩართულ თანამშრომლებს. ამის გარდა ერთ-ერთი სკოლის ფსიქოლოგის თქმით ამ პროცესის ხარისხს გააუმჯობესებდა მეტი კადრის ყოლა სააღმზრდელო ნაწილში.

რეგიონის სკოლის აღმზრდელის განცხადებით უკეთესი შედეგის მომტანია სააღმზრდელო ნაწილის დაგეგმვაში თავად მოსწავლის ჩართვაც, მისი აზრისა და სურვილების

გათვალისწინება, რომელიც გაწერილი იქნება სააღმზრდელო ნაწილის ინდივიდუალურ გეგმაში. მათთვის აპრობირებული მეთოდია მოსწავლეების პერიოდული შეფასება, სადაც უთითებენ მოსწავლის ინტერესებს და შემდგომ ცდილობენ მათ რეალიზებას. რეგიონის სააღმზრდელო ნაწილის გეგმების მომზადებაში ჩართულია პედაგოგი, სოც. მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი და ა.შ. გეგმაში გათვალისწინებულია ბავშვის უნარი და შესაძლებლობები.

„სააღმზრდელო ნაწილში არ გვაქვს სტანდარტული ფორმები, ჩვენით შევიმუშავეთ ფორმა, სადაც გაწერილი გვაქვს აქტივობები, მაგალითად როლური თამაშები, სპექტაკლები და ა.შ. ვეცნობით მოსწავლის უნარებს და იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს არ აქვს რაღაც უნარები, ვცდილობთ ინდივიდუალურად ვიმუშაოთ მასთან. სტანდარტი რომ იყოს რა შედეგზე უნდა გავიდეს აღმზრდელი ძალიან კარგი იქნებოდა“ - აღნიშნავს რეგიონის სპეც სკოლის სპეციალისტი.

მშობლის-განცხადებით ის ინფორმირებულია მასწავლებლების მხრიდან სააღმზრდელო და აკადემიურ ნაწილში რა უნარების განვითარებაზე ხდება მუშაობა. ამას გარდა, პედაგოგი უკავშირდება მშობელს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნითაც. მათი თქმით, მშობელი უნდა იყოს ჩართული ყველა სასკოლო პროცესში, რადგან ეს მხოლოდ ერთი მხარის მოვალეობა არ არის. მშობლების თქმით სააღმზრდელო ნაწილში იმ უნარებზე უნდა ხდებოდეს მუშაობა რისი განვითარებაც კონკრეტულ მოსწავლეს სჭირდება. სასურველია იყოს ინდივიდუალური მიდგომა, რადგან ერთ მოსწავლეს შეიძლება სულ სხვა კუთხით სჭირდებოდეს მუშაობა და სხვა უნარები ჰქონდეს განსავითარებელი და მეორეს სხვა, აქედან გამომდინარე, ეს საფრთხილო პროცესია და მოსწავლის ინდივიდუალიზმს ეფუძნება.

ერთ-ერთი მშობელი ინტერვიუს დროს აცხადებს:

„სკოლაში ბავშვის ჩართულობა წარმოადგენს სირთულეს, რადგან ჩემი შვილის შემთხვევაში, თვითონ ბავშვს არ უნდა. სააღმზრდელო ნაწილში ამეცადინებენ, მაგრამ ხელოვნება რომ ასწავლონ მასალა არ აქვთ. მასალო რომ ჰქონდეთ ბევრ რამეს ასწავლიდნენ. ფანქრები - ფურცლები რომ ჰქონდეთ ხატვასაც ისწავლიდნენ. ძალიან მონდომებული ბავშვები არიან“

აქტიურადაც ხდება მიღებული ცოდნის გამომჟღავნება სკოლის გარეთ. სკოლაში მუშაობენ ბავშვის სოციალური უნარების გაუმჯობესების კუთხითაც. ამ პროცესში ორი მხარე, სკოლა და მშობელი მონაწილეობს. მშობლების თქმით სკოლა გარდა აკადემიური კუთხით, ძალიან უწყობს ხელს სოციალური უნარების გაუმჯობესებაშიც, რაც გამოიხატება ისეთი აქტივობების დაგეგმვით და განხორციელებით, როგორცაა კონცერტებზე დასწრება, კონკურსებში მონაწილეობის მიღება, ექსკურსიების მოწყობა და ა.შ. გარდა სკოლისა, მნიშვნელოვანია მშობლის როლიც მოსწავლის სოციალიზაციის პროცესში. მშობლების განმარტებით, სკოლა უფრო მეტს აძლევს სოციალური უნარების განვითარების კუთხით, სააღმზრდელო ნაწილის დახმარებით ვიდრე თავად, სახლის პირობებში ახერხებენ. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია სოციალური უნარების განვითარებისთვის საჭირო თვალსაჩინო და ადაპტირებული ნივთების არქონით სახლში.

საგაკვეთილო პროცესის პარალელურად დაკვირვება განხორციელდა სააღმზრდელო პროცესზეც, თითოეულ სკოლაში განსხვავებული ფორმატით მიმდინარეობდა სააღმზრდელო ნაწილში მუშაობა. მაგ: ერთ-ერთი სკოლის თემატიკა იყო გზაზე მოძრაობის წესები, რომელშიც ყველა ბავშვი ერთნაირად იყო ჩართული, შესაბამისად ყველა ბავშვისთვის ერთი და იმავე

მიზანზე ხდებოდა მუშაობა. იგივე ტიპის, მხოლოდ ნაკლებად სტრუქტურირებული გარემო იყო სხვა სკოლაში, აქტივობების შინაარსი ძირითადად იყო გაფერადება, ფაზლების აწყობა, სხვადასხვა სამაგიდო თამაშები და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ნაკლებად იყო გამოკვეთილი აქტივობების მიზნობრიობა თითოეულ ბავშვთან მიმართებაში. ერთ-ერთი სკოლის სააღმზრდელო ნაწილის აქტივობა მთლიანად დაკავშირებული იყო გაკვეთილების მომზადების პროცესთან, ბავშვები ინდივიდუალურად მიდიოდნენ აღმზრდელთან იმისთვის, რომ მოემზადებინათ საშინაო დავალება, მაშინ როცა დანარჩენი ბავშვები სხვა აღმზრდელთან ელოდებოდნენ თავიანთ რიგს. ამ შემთხვევაშიც ნაკლებად იყო გამოყენებული პოზიტიური უკუკავშირი, შექება ან სასურველი ქცევის სხვა ტიპის განმტკიცება. საბოლოოდ, მეოთხე სკოლის სააღმზრდელო ნაწილის დაკვირვების შედეგები ფაქტობრივად ვერ აღწერს მდგომარეობას. ერთ-ერთმა აღმზრდელმა აღნიშნა, რომ სააღმზრდელო ნაწილი, იქედან გამომდინარე, რომ ყველა მოსწავლე ჯერ-ჯერობით ვერ ესწრება, პროცესი არ მიმდინარეობს ჩვეულ ფორმაში. აღმზრდელები მთელი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ აუდიტორიაში და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდნენ შემოსულ მოსწავლეს. როგორც აღმზრდელმა აღნიშნა, ზოგადად დღეები გადანაწილებული აქვთ აქტივობების მიხედვით.

თავი IX. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგები (მიღებული კვალიფიკაცია)

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების დროს, თუ მოსწავლე განათლებას იღებს ისგ - ით, ამ შემთხვევაში ფასდება მისი ამ გეგმით მიღწეული მიზნების დონე. მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ისგ - ს, შესაბამისად ფასდება მაღალი ქულით. საჭიროების შემთხვევაში სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალი ადაპტირება, მათ შორის უნდა შეიქმნას საგამოცდო პროგრამა, რომელიც უნდა მომზადდეს ისგ - ზე დაყრდნობით. არის შემთხვევები, როდესაც გამოცდების ჩაბარება ხდება ექსტერნის ფორმით. დირექტორის თქმით ისინი კატის სისტემით არ აბარებენ, რადგან კანონი აძლევს საშუალებას გამოცდის ფორმატი თავად შეარჩიონ.

„ძალიან კარგი პედაგოგობრივი შეფასებები აქვთ სპეც მასწავლებლებს. კითხვარები აქვთ მათემატიკაში, ქართულ ენაში/ლიტერატურაში და კოგნიტურ უნარებში. არის ძლიერი და სუსტი მხარეები და ყველა სფეროში მიდის ბავშვის შესაძლებლობებს შეფასება. სულ ვუსვავთ ხაზს, რომ ძალიან კარგია ძლიერი მხარეები, მაგრამ სუსტ მხარეებს უნდა ყურადღების მიქცევა და მათი განვითარება უნდა დავისახოთ გრძელვადიან მიზნებად. ესეთი პედაგოგიური შეფასებები ძალიან კარგია“

საატესტატო გამოცდების დროს საჭირო ხდება სხვადასხვა ადაპტაციების გამოყენება. დირექტორი განცხადებით საატესტატო გამოცდები ტარდება სპეციალურად სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ტესტებით და შემდეგ იბეჭდება ბრაილის შრიფტით ეს ტესტები გამოსადეგია როგორც ტოტალური უსინათლოებისთვის, ასევე მცირედ მხედველებისთვის. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სჭირდება დამხმარე შეფასების საფუძველზე, ე.წ. მოკარნახე ან წამკითხველი, ამას უზრუნველყოფს სკოლა.

თავი X. ინკლუზიური კულტურა

ინკლუზიური განათლების საფუძველს წარმოადგენს რწმენა, რომ განსხვავებულობა მოსწავლეთა შორის ბუნებრივი მოვლენაა, შესაბამისად, მათ განათლებაც განსხვავებულობის გათვალისწინებით უნდა მიეწოდებოდეთ. XXI საუკუნის სასკოლო გარემო, პირველ ყოვლისა, ინდივიდთა გამოცდილების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. არ არსებობს ორი მოსწავლე იდენტური სოციალურ - ეკონომიკური სტატუსით, ინტერესებით, განწყობებით თუ აკადემიური უნარებით. შესაბამისად, მოზარდის ინდივიდუალური შემეცნება, პირველ ყოვლისა, მისი განსხვავებულობის აღიარებით იწყება. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი, 2014).

ინკლუზიური სასწავლო გეგმის შექმნისთვის სკოლას ესაჭიროება შესაბამისი ხედავ, კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტიმული, რესურსები და კვალიფიციური კადრები. ყველა ეს კომპონენტი ხელს უწყობს დიფერენციული მიდგომის შემუშავებას. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი, 2014).

საზოგადოებაში შეინიშნება წინსვლა სსსმ პირების მიმართ დამოკიდებულებაში, თუმცა როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, ამ მცირედი წინსვლის მიღწევას დაახლოებით ათი წელი დასჭირდა. მიუხედავად ამისა, ისევ არსებობს უარყოფითი შეხედულება პანსიონური სკოლების მიმართ. ამის მოგვარებაში კი, მათი თქმით სამინისტროს როლი ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

„მშობლების უარყოფით დამოკიდებულებას თავიანთი შვილების მიმართ, უმეტეს შემთხვევაში სწორედ საზოგადოების ასევე უარყოფითი დამოკიდებულება განსაზღვრავს ხოლმე ამ ბავშვების მიმართ, ამიტომ მხოლოდ მშობლებთან საუბარი და რეკომენდაციის მიცემა არ არის საკმარისი, მათ სჭირდებათ თერაპია და შოკიდან გამოსვლა“ - აცხადებენ სკოლის სპეციალისტები.

სკოლის მიმართ ბავშვებს აქვთ დადებითი განწყობა, თუმცა ეს დამოკიდებულება უფრო ინდივიდუალურია ბავშვებში. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ რამდენიმე მშობლის თქმით მათი შვილი კარგად გრძნობს სკოლაში თავს, რადგან უყვარს ბავშვებთან ურთიერთობა და პედაგოგებიც მოსწონს. მშობლები თვლიან, რომ ბავშვების ეს დამოკიდებულება სრულიად პედაგოგების დამსახურებაა.

სამინისტრო თავის მხრივ, სსსმ მოსწავლეების სოციალიზაციის გაძლიერებისათვის, ტოლერანტული განწყობების გაზრდისა და თვითშეგნების ამაღლების მოტივით, არის სხვადასხვა პროექტების ინიციატორი. მათ შორისაა "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" განათლების მიღების მეორე შესაძლებლო საოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამა.

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“

ქვეპროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია გახსნა და პროექტში ჩართული პედაგოგები სიგელებით დააჯილდოვა.

კონფერენციის მონაწილეს და სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ინტერნეტსივრცეში ორგანიზებულ ხელგარჯილობის კლუბებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და მოხალისეების მიერ მომზადებულ ბოშური და მესხური თემატიკით დატვირთულ ხელნაკეთ ნივთებს. კონფერენციაზე პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იმ 16 პროექტის შედეგებს გაეცნენ, რომელიც საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და მესხების ისტორიის, ყოფისა და კულტურის თვითმყოფადობის შესახებ საპრეზენტაციო თემებს უკავშირდება და ქვეპროგრამის ბენეფიციარების და მოხალისეების თანამშრომლობით არის მომზადებული.

თავი XI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები პრე - პროფესიული მომზადება და ტრანზიცია

სკოლაში სწავლების ბოლო წლისთვის მოსწავლეები უკვე ემზადებიან შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად, რაც მათთვის არის პროფესიული კოლეჯი. ეს წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მზაობის შექმნა, ბავშვის და მშობლის მიერ გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის უნარებიც და ინტერესებიც.

ინტერვიუს დროს ტრანზიციასთან დაკავშირებით დირექტორმა აღნიშნა, რომ ხდება ინფორმაციის გაცვლაკოლეჯებთან.

„ჩვეთან იყო მოსული წარმომადგენელი ორი კოლეჯიდან, რომელთან ერთადაც მოვიფიქრეთ თანამშრომლობის ფორმა. ამ ფორმის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან. დისკუსიის შედეგად, რამდენიმე მოსწავლემ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიულ კოლეჯში სწავლისა“ - სკოლის დირექტორი.

მშობლის ინფორმირება ტრანზიციის შესახებ ხდება სკოლაში. მშობელი ხვდება სკოლის ადმინისტრაციას და იქ იღებს რჩევებს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. მაგრამ ხშირად წამოიჭრება დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეს სწავლა გააგრძელოს პროფესიულ კოლეჯში, მათ შორის ერთ - ერთია ოჯახის ფაქტორი. რეგიონში უმეტესწილად უჭირთ ოჯახებს ფინანსურად, რადგან მათ არ შეუძლია ბინის დაქირავება, ამას ემატება ტრანსპორტი, გადაადგილება, კვებისთვის და სხვა საჭიროებებისთვის საჭირო თანხა. ამ ხარჯების გათვალისწინებით, ხშირია პროფესიული განათლების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები.

კიდევ ერთ დამატებით პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ კოლეჯებს არ აქვთ პანსიონური მომსახურება. ეს დაბრკოლებაა არა მხოლოდ რეგიონიდან სასწავლებლად ჩამოსული მოსწავლეებისათვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც, რადგან ხშირ შემთხვევაში მშობლებს უწევთ მთელი დღის სამუშაოზე გატარება და ურჩევნიათ მათი შვილი დღის ცენტრში ატარონ და არა კოლეჯში.

სკოლები კოლეჯებთან თანამშრომლობენ მემორანდუმის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკა გაიარონ მაგალითად ბულალტერიაში, ეს თანამშრომლობა ძირითადად გათვლილია მშობლებისა და ბავშვების ცნობიერების ამაღლებაზე. მოსწავლეების ინფორმირების მეთოდია ასევე კოლეჯებში ვიზიტები, სადაც მოსწავლეები ესწრებიან სხვადასხვა პროფესიის სალექციო ან პრაქტიკულ პროცესს. აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებიან პედაგოგებიც და პრე - პროფესიულ მომზადებაში ხელშესაწყობად, სასურველ აქტივობად თვლიან უფროსკლასელების კოლეჯებში ვიზიტების ორგანიზებას და მიაჩნიათ, რომ მოსწავლის სწავლის პროფესიულში გაგრძელებას ხელს უწყობს ზუსტი ინფორმაცია კოლეჯებისა და პროფესიების შესახებ. ამ მოსაზრებას ეთანხმებიან სხვა სპეციალისტებიც და ხაზს უსვამენ, რომ სკოლის მჭიდრო კავშირი პროფესიულ კოლეჯებთან ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა მოსწავლეების პროფესიულ არჩევანზე. კითხვაზე თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ პრე-პროფესიული მომზადება ერთ-ერთმა დირექტორმა აღნიშნა, რომ

კარგი იქნებოდა ეს პროცესი არ იყოს ერთჯერადი და შეიქმნას ლაბორატორიები, სადაც მოსწავლეებს ექნებათ საშუალება პროფესიების მოსინჯვის, რაც დიდ შედეგს გამოიღებს.

„დამამთავრებელ კლასებში, ზედა დონეზე, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ჩატარდეს, ბავშვები გაიყვანონ კოლეჯებში, აჩვენონ, დაათვალიერონ და დაეხმარონ მათ პროფესიის არჩევაში, რომელიც ფუნქციონალური იქნება მომავლისთვის“

თბილისის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი საუბრობს იმაზე, რომ სკოლა - პანსიონებში მოსწავლეები ძირითადად იღებენ ცოდნას (დეკლარირებულად), ნაკლებად იძენენ იმ უნარ-ჩვევებს რაც მათ დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის, გამოავლენს მათ მიდრეკილებას და ინტერესს დაეუფლონ ამა თუ იმ სპეციალობას.

„სკოლა უფრო მეტად უნდა ცდილობდეს ჩამოუყალიბოს მოსწავლეს ფუნქციური უნარ-ჩვევები, გაცდეს სკოლის სივრცეს, უფრო მეტად მიაღებინოს მონაწილეობა სწავლის პროცესში მშობელს, სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში გადასვლისას თან უნდა მიეყვას პროგრამა რომელიც დინამიკაში ზომავს მოსწავლის მიღწევათა დონეს“

მშობლების რეკომენდაციით, სასურველი იქნება, სკოლამ რაღაც დონეზე მოამზადოს მოსწავლე და წინაპირობა შეუქმნას პროფესიულ კოლეჯში სწავლამდე. ეს შეიძლება იყოს ხელსაქმე, კულინარია, ხატვა და ა.შ. მათი თქმით, მსგავს აქტივობებში მოსწავლეების ჩართულობა მეტად გამოავლენდა მათ უნარებს პროფესიების კუთხით, რაც თავის მხრივ გაამარტივებდა სსსმ მოსწავლეებისთვის სწორი პროფესიის არჩევას. გარდა ამისა პრე - პროფესიულ მომზადებაში სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა მატერიალური - ტექნიკური რესურსებით უნარების გაუმჯობესების მიზნით. ერთ-ერთი სპეციალისტის თქმით სკოლას გააჩნია ყველა საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომ უზრუნველყოს მოსწავლის პრე - პროფესიული მომზადება. ამ რესურსის საშუალებით ბავშვები ქმნიან საინტერესო ნამუშევრებს და აწყობენ გამოფენებს. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ხშირია მშობლების სკეპტიკური დამოკიდებულება მათი შვილების შესაძლებლობების მიმართ. მშობლების გარდა მოსწავლის პროფესიული მიმართულების არჩევაში პედაგოგები და სხვა სპეციალისტებიც არიან ჩართული.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრი საუბრობს მშობლების ინფორმირების მნიშვნელობაზე პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით.

„რა თქმა უნდა ცნობადი უნდა იყოს. უნივერსიტეტებს ამთავრებენ ბავშვები, მშობლები წელში წყდებიან და რატომღაც ბავშვები კონსულტანტ-გამყიდველებად მუშაობენ. ბარემ დაამთავრონ 9 კლასი და ისევ ასეთ პროფესიაზე ჩააბარონ ხომ კარგი იქნება, არც მშობლები იწვალეებენ ტყუილად. არც იციან რომ პროფ. სასწავლებლები არსებობს, სკოლა უნდა გაძლიერდეს და უნდა აჩვენოს, რომ ესეთი შესაძლებლობებიც არის, რომ სკოლის დამთავრების მერე ბავშვმა იცოდეს სად შეუძლია წავიდეს“

შესაძლებელია სკოლაში ღია კარის დღეების მოწყობა. ინფორმაცია ტელევიზიამაც უნდა გადმოსცეს, არასამთავრობოებიც უნდა ჩაერთონ, ბუკლეტებიც უნდა იყოს და რა თქმა უნდა, დასაქმებაც. აღნიშნავენ, რომ პირველ რიგში ხელის შემშლელი ფაქტორი სწავლის გაგრძელების

დროს არის არაინფორმირებულობა. გარდა ამისა, ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებს მიეკუთვნება გადაადგილება, ტრანსპორტირება, საცხოვრებლის და ფინანსური პრობლემები.

საბოლოოდ, პრე-პროფესიული მზაობის დროს გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში მოხდეს მშობლის და ბავშვის ინფორმირებულობა, გაეცნონ, როგორც კოლეჯებს, ასევე მის პროგრამებს და იცოდნენ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ თითოეული არჩევანის შემთხვევაში. სკოლის სპეციალისტებიც საუბრობენ მშობელების ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე, თუმცა ვინ უნდა აკეთებდეს ამას სკოლაში, რა ვადებში უნდა მოხდეს ინფორმირება ან რა ფორმით მიეწოდებათ მშობლებს ინფორმაცია, ეს საკითხი განსაზღვრული არ არის. ასევე მნიშვნელოვანია სწორი რეკომენდაციის მიწოდებაც მშობლისთვის, რაც გულისხმობს ბავშვის უნარების და ინტერესების ერთდროულად გათვალისწინებას, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვინ შეიძლება გააკეთოს მსგავსი ტიპის სამუშაო, გაურკვეველია. სპეციალისტები საუბრობენ ფინანსურ პრობლემებზეც, რაც ძირითადად რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს უკავშირდება და აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ მომსახურება იქნება პანსიონური და დაფინანსდება ბავშვის პირველადი საჭიროებები, მეტია ალბათობა, რომ ბავშვის სკოლიდან კოლეჯში ტრანზიცია წარმატებით განხორციელდეს.

თავი XII. სპეციალიზებული სკოლა - პანსიონების ბიუჯეტის მოდელი

კვლევამ აჩვენა, რომ არსებული პრაქტიკა, რომელსაც სკოლა პანსიონატები იყენებენ ფინანსური დოკუმენტების მომზადებისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ანგარიშგებისთვის არ არის ეფექტიანი, რადგან არ იძლევა საშუალებას შეფასდეს გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და განაწილების შესაბამისობა საჭიროებებთან მიმართებაში. ხშირ შემთხვევაში რთული და შეუძლებელია განისაზღვროს გაწეული ხარჯის დაფინანსების წყარო, რაც გულისხმობს გაიმიჯნოს ხარჯის გაწევა მოხდა ვაუჩერის, პროგრამული დაფინანსების თუ სხვა სახსრების გამოყენებით.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა პანსიონატებში სწავლობენ სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები მათი საჭიროებების განსხვავებულობა და სპეციფიკა ართულებს ერთი მოსწავლისთვის საჭირო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრას. ანალიზის შესაძლებლობას ართულებს სკოლა-პანსიონატების ანგარიშგების ფორმაში მათ მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღწეული შედეგების და ამ აქტივობებში ჩართული მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის სიმწირე, შეიძლება ითქვას ინფორმაციის არარსებობა. იმისთვის, რომ ერთი მოსწავლისთვის მიზანშეწონილი დაფინანსების ოდენობის შეფასება შესაძლებელი გახდეს კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, აუცილებელია სკოლა-პანსიონატებმა ბიუჯეტის ფორმის მომზადების დროს შესაძლებლობის ფარგლებში მიუთითონ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა და მათი სპეციალური საჭიროებების შესაბამისი ჯგუფი. აღნიშნული შესაძლებელს გახდის რომ რამდენიმე წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს ერთ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე მიზანშეწონილი დაფინანსების სიდიდე ხარჯის კატეგორიებისა და სსსმ პირების ჯგუფების მიხედვით გაწეული საშუალო ხარჯების შეფასებით.

სკოლა-პანსიონატების ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ბიუჯეტის ხარჯების ძირითადი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში 65%-ზე მეტი ხელფასების მუხლზე იხარჯება, ხარჯების სიდიდე მინიმალურია ისეთი მიზნობრიობით, როგორცაა მოსწავლის პრე-პროფესიული მომზადების ხელშეწყობა; სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; სოციალიზაციის, ფუნქციური და გონებრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა; ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლა-პანსიონატების დაფინანსება ერთის მხრივ ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით, მეორეს მხრივ პროგრამული დაფინანსებით. სკოლა-პანსიონატებს პირველ ეტაპზე უნდა შეეძლოთ მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო საბაზისო ხარჯების გაწევა, რის შემდეგაც დგება ხარჯების სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე მორგებით ეფექტიანი განაწილების საკითხი. მას შემდეგ რაც სკოლა-პანსიონატები დაიწყებენ ანგარიშგებას ფორმით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ხარჯების მიზნობრიობის დაჯგუფება და ანალიზი განვახორციელოთ, მიზანშეწონილია განისაზღვროს პროგრამული დაფინანსების სავალდებულო განაწილების პროცენტულობა, მაგალითად „დაფინანსების არანაკლებ 6% უნდა მოხმარდეს პრე-პროფესიული მომზადების ხელშეწყობას“. აღნიშნული, ხელს შეუწყობს რომ თავიდან იქნას არიდებული ხარჯების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების მიმართულებით კონცენტრაცია. თუმცა ამასთან გასათვალისწინებელია, რომ კვლევამ გამოავლინა სკოლა-

პანსიონატებში დასაქმებული კადრების შენარჩუნების სირთულე და გადინების მაღალი რისკი ხელფასების სიმცირის პრობლემიდან გამომდინარე. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ხარჯების განაწილების პროცენტული შეზღუდვის დაწესების პროცესში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სკოლა-პანსიონატების მოსწავლეების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულებებმა შეასრულონ საკუთარი ფუნქცია და ხელი შეუწყოს მათ როგორც პრე-პროფესიულ მომზადებას, ისე სოციალიზაციას, ჯანსაღ ცხოვრებას, ფუნქციური და გონებრივი უნარების განვითარებას და სხვა. რაც თავის მხრივ დაფინანსებას საჭიროებს. რეკომენდირებულია ეტაპობრივად მოხდეს გარკვეული შეზღუდვების დაწესება სკოლა-პანსიონატების მიერ მიღებული პროგრამული დაფინანსების პროცენტულ გადანაწილებასთან დაკავშირებით სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებით.

იმისთვის, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები განხორციელდეს შესაბამის ანალიზზე და მონაცემებზე დაყრდნობით აუცილებელია სკოლა-პანსიონატებმა ანგარიშგება მოახდინონ შემოთავაზებული სარეკომენდაციო ბიუჯეტის ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაციის გენერირება მოხდეს შემდგომი ანალიზისთვის.

ბიუჯეტის ფორმა მოიცავს ზოგადი ინფორმაციის ნაწილსა და ბიუჯეტის მუხლებს, რომელებიც ხარჯების მიზნობრიობიდან გამომდინარე არიან დაჯგუფებულები. ხარჯების მუხლები გამოყოფილია სსსმ პირების საჭიროებების კატეგორიების მიხედვით, რაც ამარტივებს განისაზღვროს თუ რა მიზნობრიობას და სსსმ პირების რა ტიპის საჭიროებების დაკმაყოფილებას მოხმარდა თითოეული ხარჯი.

თავდაპირველ ეტაპზე ივსება ზოგადი ინფორმაცია სკოლა-პანსიონატის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სსსმ პირების რაოდენობისა და მათი საჭიროებების ჯგუფის შესახებ. მაგალითად, თუ სასწავლებელში სწავლობს 12 სსსმ პირი, გარდა იმისა, რომ სსსმ პირების რაოდენობის გრაფაში უნდა მიეთითოს რიცხვი „12“, უნდა მოხდეს მითითება ამ 12 მოსწავლიდან, რამდენს აქვს მოტორული, სმენის, მხედველობის, ინტელექტუალური დარღვევა, თუ რომელიმე მოსწავლე არც ერთ ჩამოთვლილ დარღვევათა ჯგუფს არ მიეკუთვნება, გრაფაში „სხვა“ უნდა ჩაიწეროს ასეთი მოსწავლეების რაოდენობა და მიეთითოს რა ტიპის დარღვევაა. ამასთან, ზოგადი ინფორმაციის ნაწილში უნდა მიეთითოს თუ რა იყო ანგარიშგების პერიოდში დაწესებულებისთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი და ამ თანხიდან რა ნაწილის ათვისება მოხდა, ანუ რა იყო დაწესებულების ხარჯი (იხ.ცხრილი #1).

ცხრილი #1. ბიუჯეტის ფორმის ზოგადი ინფორმაციის ნაწილი

1	საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	
2	მუნიციპალიტეტი/რეგიონი	
3	სსსმ პირების რაოდენობა	
4	სსსმ პირების განაწილება ჯგუფების მიხედვით	რაოდენობა
	1. მოტორული დარღვევა	
	2 სმენის დარღვევა	
	3 მხედველობის დარღვევა	
	4 ინტელექტუალური დარღვევა	
	5 სხვა	
5	დაწესებულების ბიუჯეტი	
6	დაწესებულების ხარჯი	

ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: ხარჯები, რომლებიც აუცილებელია გაწეულ იქნას იმისთვის, რომ დაწესებულებამ იფუნქციონიროს და უზრუნველყოს მოსწავლეები საბაზისო საჭიროებებით (იხ. ცხრილი #2) და ხარჯები, რომლებიც ემსახურება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას და მათი სპეციალური საჭიროებების საპასუხოდ არის მიმართული (იხ. ცხრილი #3).

ბიუჯეტის მომზადების დროს ხარჯების განაწილების ეტაპზე პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი, თუ რა იყო მიზნობრიობა თითოეული ხარჯის გაწევის, მაგალითად თუ ინვენტარის შეძენა მოხდა იმისთვის, რომ ხელი შეწყობოდა მოსწავლეების პრე-პროფესიულ მომზადებას, ამ შემთხვევაში ხარჯის მითითება უნდა მოხდეს #6.2 მუხლში „ინვენტარის, ტექნიკის შეძენა და მონტაჟი/დემონტაჟი“, თუ ინვენტარი შეძენილ იქნა სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისთვის, ამ შემთხვევაში ხარჯის მითითება უნდა მოხდეს #7.2 მუხლში „ინვენტარის, ტექნიკის შეძენა და მონტაჟი/დემონტაჟი“, ანალოგიურად სხვა ხარჯების შემთხვევაშიც, როგორცაა ხარჯები საგანმანათლებლო მასალებისთვის, ტრანსპორტირებისთვის, მცირე სარემონტო სამუშაოებისთვის და ასე შემდეგ. თითოეული ხარჯის განაწილებისას მთავარი ამოცანაა განისაზღვროს თუ რა მიზანს ემსახურებოდა კონკრეტული ხარჯის გაწევა და მოხდეს მიზნობრიობის შესაბამისად მისი განაწილება.

ხარჯის მიზნობრიობაში #1. სსსმ პირის საგანმანათლებლო/ სააღმზრდელო საქმიანობა უნდა იქნას მითითებული მხოლოდ იმ პირების ხელფასები, რომელთა დაქირავება არ მოხდა კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე დასჭირდა პერსონალური ასისტენტი ან მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს დასჭირდათ კონკრეტული პროგრამის სწავლება, გარემოში გადაადგილების სწავლება თუ სხვა, ამ შემთხვევაში დაქირავებული პერსონალის ხელფასი უნდა იქნას ასახული ხარჯის მიზნობრიობაში #4. პერსონალური საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საქმიანობა/მხარდამჭერი ადამიანური რესურსი. იმ შემთხვევაში თუ ხარჯების რომელიმე ჯგუფის ჩამონათვალში არ არის დაწესებულების მიერ გაწეული ხარჯი

მოცემული, მითითება უნდა მოხდეს „სხვა (მიუთითეთ)“ მუხლში, არ უნდა მოხდეს ხარჯის დასახელების მოძებნა სხვა ხარჯების ჯგუფში.

აუცილებელია თითოეული ხარჯის გასწვრივ მიეთითოს თუ რა იყო ხარჯის გაწვევის წყარო, ესეიგი ხარჯის გაწევა შესაძლებელი გახდა ვაუჩერის, პროგრამული დაფინანსების თუ სხვა მოზიდული სახსრების მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ ხარჯის გარკვეული ნაწილის დაფინანსება მოხდა პროგრამული დაფინანსებით, ნაწილის კი სხვა მოზიდული სახსრებით, რაც შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება თუ სხვა, აუცილებელია მიეთითოს ზუსტად რა ნაწილის რა წყაროთი დაფინანსება განხორციელდა.

ცხრილი #2. ბიუჯეტის ფორმის ხარჯების ნაწილი - დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხარჯები

#	ხარჯის მიზნობრიობა	ხარჯის დასახელება	თვ ე	თვ ე	თვ ე	სულ ჯამი	მოლიანი ხარჯის წყარო (ვაუჩერი, პროგრამული დაფინანსება თუ სხვა მოზიდული სახსრები)	განხორციელებული აქტივობის აღწერა/მიღწეული შედეგი	აქტივობაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	აქტივობაში ჩართული მოსწავლეების ჯგუფი
1	სსსმ პირის საგანმანათლებლო/საადმინისტრაციო საქმიანობა	1.1 დირექციის ხელფასი				0				
		1.2 ადმინისტრაციის ხელფასი				0				
		1.3 ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ხელფასი				0				
		1.4 სამივილინებო ხარჯი				0				
		1.5 სხვა (მიუთითეთ)				0				
	ჯამი		0	0	0	0				
2	საბაზისო საჭიროებები	2.1 კვება				0				
		2.2 სამედიცინო საჭიროება	0	0	0	0				
		2.2.1 მედიკამენტები								
		2.2.2 სამედიცინო მომსახურება								
		2.3 ტანისამოსით უზრუნველყოფა				0				
		2.4 რეცხვა, ქიმიკალები, სანიტარული საგნების შეძენა				0				
		2.5 პირველადი მოხმარების უზრუნველყოფა/ჰიგიენური საშუალებები				0				
		2.6 სხვა (მიუთითეთ)				0				
		2.7 სხვა (მიუთითეთ)				0				
2.8 სხვა (მიუთითეთ)				0						
	ჯამი		0	0	0	0				
3	დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროდუქტი/მომსახურება	3.1 კომუნალური ხარჯი	0	0	0	0				
		3.1.1 ელექტროენერჯის ხარჯი								
		3.1.2 წყლით მომარაგების ხარჯი								
		3.1.3 ბუნებრივი აირის ხარჯი								
		3.1.4 დასუფთავების ხარჯი								
		3.1.5 სხვა კომუნალური								

	ხარჯი								
	3.2 მომსახურება	0	0	0	0				
	3.2.1 ტენდერის გამოცხადება, აუდიტი								
	3.2.2 წყლის სინჯი								
	3.2.3 დეზინფექცია, დერატიზაცია								
	3.2.4 სხვა მომსახურება (მიუთითეთ)								
	3.3 ტექნიკა/რესურსი	0	0	0	0				
	3.3.1 საოფისე ტექნიკა								
	3.3.2 საკანცელარიო ნივთები								
	3.4 სხვა (მიუთითეთ)								
ჯამი		0	0	0	0				

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს გაანალიზდეს და შეფასდეს სკოლა-პანსიონატების მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების უნარების განვითარებაზე, ხარჯების შესახებ რაოდენობრივ ინფორმაციასთან ერთად აუცილებელია თითოეული ხარჯის გასწვრივ მითითებული იყოს თუ რა აქტივობის განხორციელება მოხდა და რა შედეგი იქნა მიღწეული. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციასთან ერთად აუცილებელია მიეთითოს აქტივობაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა და მათი ჯგუფი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით. მაგალითად, თუ 9.2 მუხლში „თერაპია“ დაწესებულებას აქვს გაწეული ხარჯი 1,000 ლარის ოდენობით და თერაპიული პროცედურა ჩატარდა 10 მოსწავლეს, საიდანაც 7 მოსწავლეს ჰქონდა მოტორული დარღვევა ხოლო 3 მოსწავლეს ინტელექტუალური დარღვევა, გრაფაში „აქტივობაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა“ უნდა მიეთითოს „10“, ხოლო გრაფაში „აქტივობაში ჩართული მოსწავლეების ჯგუფი“ უნდა მიეთითოს „7 მოსწავლე - მოტორული დარღვევა, 3 მოსწავლე - ინტელექტუალური დარღვევა“. აღნიშნული შესაძლებელს გახდის შეფასდეს ერთ მოსწავლეზე საშუალო ხარჯის ოდენობა მისი სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით.

ცხრილი #3. ბიუჯეტის ფორმის ხარჯების ნაწილი - სსსმ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ხარჯების მუხლები

#	ხარჯის მიზნობრიობა	ხარჯის დასახელება	თვე	თვე	თვე	სულ ჯამი	მთლიანი ხარჯის წყარო (ვაუჩერი, პროგრამული დაფინანსება თუ სხვა მოზიდული სახსრები)	განხორციელებული აქტივობის აღწერა/მიღწეული შედეგი	აქტივობაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	აქტივობაში ჩართული მოსწავლეების ჯგუფი
4	პერსონალური საგანმანათლებლო და აღზრდებლობითი საქმიანობა/მხარდამჭერი ადამიანური რესურსი	4.1 პირადი ასისტენტის ხელფასი								
		4.2 ტექნიკური პერსონალის ხელფასი								
		4.3 საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობაში დასაქმებული სხვა პერსონალის ხელფასი								
		4.4 სხვა (მიუთითეთ)								

		4.5 სხვა (მიუთითეთ)											
	ჯამი		0	0	0	0							
5	მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება	5.1 ინვენტარის, ტექნიკის შექმნა და მონტაჟი/დემონტაჟი											
		5.2 მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები											
		5.3 საგანმანათლებლო მასალები											
		5.4 სხვა (მიუთითეთ)											
		5.5 სხვა (მიუთითეთ)											
	ჯამი		0	0	0	0							
6	პრე-პროფესიული მომზადების ხელშეწყობა	6.1 პროფესიულ სასწავლებლებში და სხვა დაწესებულებებში ვიზიტი (ტრანსპორტირების ხარჯი, სხვა ხარჯი)											
		6.2 ინვენტარის, ტექნიკის შექმნა და მონტაჟი/დემონტაჟი											
		6.3 საგანმანათლებლო მასალები											
		6.4 სხვა (მიუთითეთ)											
		6.5 სხვა (მიუთითეთ)											
	ჯამი		0	0	0	0							
7	ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა/სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობა	7.1 გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა ხარჯი											
		7.2 ინვენტარის, ტექნიკის შექმნა და მონტაჟი/დემონტაჟი											
		7.3 მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები											
		7.4 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
		7.5 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
		7.6 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
	ჯამი		0	0	0	0							
8	სოციალიზაციის ხელშეწყობა/კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა	8.1 გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა ხარჯი											
		8.2 ინვენტარის, ტექნიკის შექმნა და მონტაჟი/დემონტაჟი											
		8.3 საგანმანათლებლო მასალები											
		8.4 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
		8.5 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
		8.6 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											
	ჯამი		0	0	0	0							
9	ფუნქციური და გონებრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა	9.1 ინვენტარის, ტექნიკის შექმნა და მონტაჟი/დემონტაჟი											
		9.2 თერაპია											
		9.3 საგანმანათლებლო მასალები											
		9.3 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)											

		9.4 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)							
		9.5 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)							
	ჯამი		0	0	0	0			
1 0	ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია/კვალიფიკაციის ამაღლება	10.1 ტრენინგი პერსონალისთვის							
		10.2 ღონისძიებები მოსწავლეებისთვის							
		10.3 საგანმანათლებლო მასალები							
		10.4 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)							
		10.5 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)							
		10.6 სხვა ხარჯი (მიუთითეთ)							
	ჯამი		0	0	0	0			
	სულ ჯამი		0	0	0	0			

აღნიშნული ბიუჯეტის მოდელი შესაძლებელს გახდის პირველ რიგში შეფასდეს და გაანალიზდეს სკოლა-პანსიონატების მიერ გაწეული საქმიანობის, როგორც ფინანსური კუთხით ეფექტიანობა, ისე პროგრამული მიმართულებით საქმიანობა. ბიუჯეტის მოდელის მიზანია რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად გენერირდეს ინფორმაცია დაწესებულებების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რაც მათ მიერ გახორციელებული აქტივობების აღწერილობით ნაწილში და მიღწეულ შედეგებში უნდა წარმოადგინონ. სკოლა-პანსიონატების მიერ ფინანსური ანგარიშგება ბიუჯეტის წარმოდგენილი მოდელის მიხედვით გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელს გახდის განისაზღვროს ხარჯების მიზნობრიობის მიხედვით პროგრამული დაფინანსების სავალდებულო განაწილების პროცენტულობა სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებით. აღნიშნული შესაძლებელს გახდის დასაბუთებული ანალიზის საფუძველზე თავიდან იქნას არიდებული ხარჯების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების მიმართულებით კონცენტრაცია.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მოდელის გამოყენება სკოლა-პანსიონატების მიერ ხელს შეუწყობს დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობას, ხარჯების მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით მაქსიმალურად რაციონალურ განაწილებას და ზოგადად დაწესებულების მართვის გაუმჯობესებას.

კვლევის შედეგების შეჯამება

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი სირთულეები და გამოწვევები რასაც დღეს რესურს სკოლებში ინკლუზიურ განათლებაში ვხვდებით. ერთ-ერთი პირველი გამოწვევა იყო სკოლის ცნობადობა და მასზე ხელმისაწვდომობა მშობლებისთვის. მშობლების დიდი ნაწილი ინტერვიუში აცხადებდა, რომ სკოლის არსებობის შესახებ ინფორმაცია სხვა მშობლისგან მიიღო და სურვილს გამოთქამდნენ, რომ მეტი იყოს ინფორმირებულობის დონე სკოლის და ბავშვისთვის საჭირო სხვა სერვისების შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის საკითხიც, თუ რამდენად გაცნობიერებულია მშობელი იმ სირთულეებში, რასაც მის შვილთან ხვდება. როგორც სკოლის გუნდის ინტერვიუდან გამოჩნდა, ხშირ შემთხვევაში მშობლის ფსიქოგანათლება მწირია და მშობელს უჭირს ბავშვთან მუშაობა. შესაბამისად დგას მშობლების დატრენინგების და მათი გაძლიერების საჭიროება. მითუმეტეს, რომ დირექტორების უმრავლესობა ინტერვიუში აცხადებს, რომ იმ ბავშვებთან, რომელთა სწავლების პროცესში მშობლებია ჩართული, გაცილებით კარგ შედეგებზე გადიან.

გარკვეული სირთულეები გამოვლინდა დოკუმენტაციის წარმოების მიმართულებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა სპეციალისტისთვის მოსახერხებელი და ფუნქციური დოკუმენტია, ბუნდოვანი რჩება ისგ-ს შექმნის ისგ ჯგუფში გადანაწილებული როლები და უფლება-მოვალეობები. კერძოდ, სკოლის სპეციალისტებისთვის სირთულეს წარმოადგენს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, რომლის მიხედვითაც სპეციალისტები აკეთებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მაშინ, როცა დასკვნაში ბავშვის უნარები არ არის მოცემული, უწევთ თვითონ გააკეთონ ბავშვის ხელახალი გადაფასება. მეორე მხრივ, როგორც ოფიციალურ დოკუმენტში ვნახეთ, ისგ ჯგუფის მოვალეობაში შედის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც თავის თავში შეფასების უფრო დეტალიზებულ ნაწილსაც მოიცავს. სკოლის სპეციალისტების განცხადებით, ბავშვის გადაფასება არ არის მიზნული კონკრეტულ სპეციალისტზე (მაგ: ფსიქოლოგზე) და შესაძლოა ბავშვი შეაფასოს როგორც ფსიქოლოგმა, ასევე კლასის დამრიგებელმა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კლასის დამრიგებელს არ აქვს იმის კომპეტენცია, რომ ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, სოციალური, ფუნქციური და სხვა უნარები შეაფასოს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული ხარისხით იქნება წარმოდგენილი ბავშვის ისგ-ში შეფასების ნაწილი, შესაბამისად იქნება განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო მიზნებიც. სირთულეს ვაწყდებით იმ შემთხვევაშიც, თუ ჩავთვლით, რომ ბავშვების შეფასება მხოლოდ სკოლის ფსიქოლოგის და სპეციალური მასწავლებლების კომპეტენციაა, რადგან ამ შემთხვევაში სამი ადამიანის მოვალეობა ხდება ასი და შესაძლოა მეტი ბავშვის შეფასება, რაც ასევე არ იქნება მარტივი სკოლის შიდა გუნდისთვის. გარდა ამისა, ბავშვების შიდა სასკოლო შეფასების პროცესში სირთულეს წარმოადგენს არასტანდარტიზებული ინსტრუმენტების არქონა, რაც ართულებს და ახანგრძლივებს შეფასების პროცესს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილში მასწავლებლების წუხილის საგანი იყო მასში საგნობრივი ნაწილის გათვალისწინება.

მასწავლებლებმა ისაუბრეს სკოლამდელ განათლებაში არსებულ სირთულეებზე, რაც შემდეგ პირდაპირ აისახება სასკოლო გარემოზე და აფერხებს ბავშვის აკადემიური უნარების განვითარებას. მაგალითად, არის გარკვეული ფუნქციური უნარ-ჩვევები, რომელიც ბავშვს უკვე საბავშვო ბაღში უნდა ჰქონდეს დასწავლილი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ უნარებზე მუშაობა

შესაბამის ასაკში არ ხდება, სკოლის მასწავლებელს უწევს ჯერ მინიმალური ფუნქციური უნარების მუშაობაზე დაწყება იმისთვის, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს აკადემიური უნარების დასწავლა.

რეგიონის ერთ-ერთ სკოლაში, სწავლების პროცესში სირთულეებს ქმნის ბავშვის პირველადი რეფერირების პროცესი. რომ მას შედეგ, რაც სკოლა ან სოციალური მომსახურების სააგენტო დაადგენს, რომ ბავშვი არის ან კანონთან კონფლიქტში ან რთული ქცევის, სხვა გარე რესურსი ამოწურულია და არის საჭიროება ჩაირიცხოს სპეც სკოლაში, მიმართავენ განათლების სამინისტროს. სამინისტროს მულტი გუნდი ახდენს ამ ბავშვის შეფასებას. შეფასების დროს მულტი გუნდის წევრი ხვდება როგორც ბავშვს, ასევე მათ მშობლებს. დაკვირვების შედეგად მულტი გუნდის წევრი ადგენს არის თუ არა ბავშვის სპეც. სკოლაში ჩარიცხვის საჭიროება. საჭიროების დადგენის შემთხვევაში, დაახლოებით 6 თვემდე აკვირდებიან ბავშვს, იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა დაიდოს იმის შესახებ, უნდა ჩაირიცხოს თუ არა ბავშვი ამ სკოლაში. პროცესი ართულეებს ბავშვის ადაპტირებას გარემოსთან, რადგან მის ჩარიცხვამდე სასწავლო პროცესი დაწყებულია და ბავშვს შუა პროცესში ადაპტირება უჭირს.

სასწავლო პროცესს ხელს უშლის ქცევის სირთულეები, რომელიც ხშირად თან ახლავს განვითარების დარღვევებს. თბილისის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი თვლის, რომ სკოლები ჯერ მზად არ არიან რთული ქცევის სამართავად. ისინი საჭიროებენ მეტ თეორიულ და ამასთან ერთად პრაქტიკულ ტრენინგს, იმისთვის რომ თეორიულად დასწავლილი უნარების გადატანა შეძლონ კონკრეტულ შემთხვევებზე. რეგიონის მულტიდისციპლინური გუნდის წევრის შეფასებით, რეგიონის სკოლებში ქცევის სირთულეებთან გამკლავება ნაკლებად უჭირთ, თუმცა რა განაპირობებს ამ სხვაობას ეს საკითხი ბუნდოვანია. დირექტორები აღნიშნავენ, რომ კადრებს ხელმისაწვდომობა აქვთ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ, უფასო ტრენინგებზე, თუმცა ფასიანი ტრენინგების დაფინანსება მათი ხელფასებით არ შეუძლიათ და შესაბამისად პროფესიული ზრდისთვის მხოლოდ მოტივაცია საკმარისი აღარ არის.

რაც შეეხება სსსმ მოსწავლის განათლებაში ჩართულ პროფესიულ რესურსს, ამ მიმართულებით სირთულეს წარმოადგენს ისეთი დეფიციტური კადრების მოძიება, როგორებიც არიან სოციალური მუშაკი, ოკუპაციური თერაპევტი და მეტყველების თერაპევტი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემაა კვალიფიციური კადრის შენარჩუნება იგივე პოზიციაზე, რადგან კადრების შენარჩუნებას სკოლებში განსაზღვრავს მათი ხელფასების მოცულობა. დღევანდელი ტენდენციით ახალგაზრდა, რომელიც მუშაობას იწყებს სკოლაში, რჩება დაახლოებით ორი წელი, იღებენ კვალიფიკაციას, გამოცდილება აგროვებენ, თუმცა დაბალი ხელფასების გამო იწყებენ შედარებით მაღალანაზღაურებად სამსახურს და საჭირო ხდება ისე თავიდან ახალი კადრის მოძებნა, რომელიც იგივე გზას გადის რასაც მისი წინამორბედი.

სკოლის ფიზიკურ გარემოში წამყვან სირთულეებად რჩება გარემოს მოწყობა, ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები და ტრანსპორტი. საჭიროებები გამოვლინდა რესურსის ადაპტირების კუთხითაც, განსაკუთრებული საჭიროება არის სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო რესურსის ადაპტირება და მზა მასალის არსებობა.

დირექტორები საუბრობენ, რომ დაბალი ანაზღაურების გამო ნაკლებად მოტივირებული თანამშრომლების მუშაობა ქვემოთ სწევს საადმინისტრაციო ნაწილის მომსახურების ხარისხს.

სააღმზრდელო ნაწილში ერთ-ერთი წამყვანი პრობლემაა ბავშვის უნარების შეფასება, სამუშაო მიზნების განსაზღვრა და აქტივობების დაგეგმვა. არ არსებობს სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც ბავშვის ფუნქციური და სოციალური უნარების შეფასებაში დაეხმარებოდა აღმზრდელს და შესაბამისად განსაზღვრავდა ინდივიდუალურ სამუშაო მიზნებს. ეს საჭიროება კარგად გამოჩნდა სააღმზრდელო ნაწილზე უშუალო დაკვირვების შემდეგ, რადგან ოთხივე დაკვირვებაში ჩანდა, რომ სააღმზრდელო პროცესი სრულიად განსხვავებულად არის დაგეგმილი და არცერთ შემთხვევაში არ იყო გამოკვეთილი ინდივიდუალური ფუნქციური ან სოციალური მიზანი, რომელზეც აღმზრდელი ბავშვთან მუშაობდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სააღმზრდელო ნაწილის განხილვა, როგორც პრე-პროფესიული მომზადება, რადგან სწორედ ამ ნაწილში უნდა ხდებოდეს ბავშვის ინტერესების გამოკვეთა და განვითარება, თუმცა ამ საკითხის გათვალისწინებაც ნაკლებად ჩანდა პროცესზე უშუალოდ დაკვირვების დროს.

მნიშვნელოვანია ტრანზიციის პერიოდში მშობლის და ბავშვის ინფორმირება და განათლება, დირექტორები და სკოლის სპეციალისტები საუბრობენ არაერთ ღონისძიებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვის სკოლიდან კოლეჯში ტრანზიციის პროცესში.

რეკომენდაციები

- სასურველია გაიზარდოს სკოლის ცნობადობა და სკოლა - პანსიონების შესახებ ინფორმაცია გახდეს უფრო ადვილად ხელმისაწვდომი;
- სასურველია გაიზარდოს მშობლების ინფორმირებულობა როგორც მეტი ინფორმაციის გავრცელების, ასევე მათი დატრენინგების გზით;
- მნიშვნელოვანია სკოლა - პანსიონებს ჰქონდეთ საერთო სკოლის სტანდარტი და შესაბამისად კადრების სამუშაო არწერილობა;
- სასურველია სკოლის სპეციალისტებს ჰქონდეთ შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები და შეეძლოთ მათი სწორად გამოყენება;
- სასურველია სკოლას ჰქონდეს სტანდარტიზებული ინსტრუმენტები ფუნქციური და სოციალური უნარების შესაფასებლად და საადმინისტრაციო ნაწილის გაუმჯობესებისთვის;
- სასურველია მოხდეს სკოლის გუნდის ხშირი დატრენინგება არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხით და შესაძლებლობა ჰქონდეთ, მიიღონ შესაბამის თემსტიკაზე სპეციალისტის სუპერვიზია;
- სასურველია მოხდეს წარსულში გადამზადებული კადრების ხელახალი გადამზადება (მაგ: მეტყველების თერაპევტის, ფიზიკური თერაპევტის და ა.შ.);
- სასურველია, დაიწყოს ზრუნვა სკოლა - პანსიონებში კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე და არსებული კვალიფიციური კადრების შენარჩუნებაზე;
- სასურველია სკოლებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მეტ ადაპტირებულ რესურსზე;
- სასურველია მეტად ადაპტირდეს სასკოლო გარემო (რაც გულისხმობს სკოლაში ლიფტის, პანდუსის, ტრანსპორტის და სხვა საჭირო ფიზიკური გარემოს ადაპტირებას);
- მნიშვნელოვანია კომუნიკაციის უფრო სტრუქტურირებული ფორმის შემოღება საკლასო და სააქტივობის ნაწილებს შორის;
- მნიშვნელოვანია პრე-პროფესიული მზადების ეტაპზე საადმინისტრაციო ნაწილის გამოყენება, მშობლის და ბავშვის ინფორმირება და მოტივირება;
- სასურველია პროფესიულ კოლეჯებსაც ჰქონდეთ პანსიონური მომსახურება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც რეგიონებში ცხოვრების გამო ვერ იღებენ შესაბამის განათლებას;
- მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მონიტორინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

დანართი #2. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა.

მოსწავლე (სახელი, გვარი)	
პირადი ნომერი	
სკოლა	
კლასი	
დაბადების თარიღი	
ასაკი	
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი	დედა - მამა - მეურვე/მზრუნველი -
ტელეფონის ნომერი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
მისამართი	
ელ ფოსტა	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მულტუდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისთვის 2 კვირის ვადაში.

ისგ-ის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) -----

მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი (კლასის დამრიგებელი)

სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელშიც ერთიანდებიან სსსმ მოსწავლის საგნის მასწავლებლები, მშობელი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი. ისგ-ის შეხვედრები მნიშვნელოვანია ჩატარდეს წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ (იხ. ცხრილი). შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი, ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

ისგ - ის ჯგუფის შეხვედრები	თარიღი
პირველი შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში	
მეორე შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს	
მესამე შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში	
მეოთხე შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს	
საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა	

შენიშვნა: თუკი, წლის მანძილზე ჩატარდება საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა, ცხრილს დაემატება შესაბამისი ჩანაწერები.

(1) შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(2) შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(3) შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(4) შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	

2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე

<p>ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება</p> <p>(განმარტება: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივი და/ან თვისებრივი ცვლილება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების მოდიფიცირებას - რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით).</p>	<p>დიახ</p>	<p>არა</p>
<p>დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ის საგნობრივი პროგრამები (საგნები), რომელთა ფარგლებშიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო მიზნის/ების განსაზღვრა</p> <hr/> <hr/>		
<p>შინ სწავლების საჭიროება</p> <p>(განმარტება: იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება).</p>	<p>დიახ</p>	<p>არა</p>
<p>დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ:</p> <p>შინ სწავლების ხანგრძლივობა: _____</p>		

შინ სწავლებით უზრუნველყოფილი საგნები: _____

პასუხისმგებელი მასწავლებელი/ები _____

დატვირთვა კვირის განმავლობაში: _____

<p>ინდივიდუალური განრიგის საჭიროება</p> <p>(განმარტება: იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, ქცევის სირთულეების ან სხვა მიზეზის გამო უჭირს ყველა გაკვეთილზე დასწრება და სკოლასთან ადაპტაცია, მულტიდისციპლნური გუნდის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ის საჭიროებდეს გაკვეთილებზე დასწრების ინდივიდუალურ განრიგს).</p>	<p>დიახ</p>	<p>არა</p>
--	--------------------	-------------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, სასწავლო დღეებისთვის დააკონკრეტეთ გაკვეთილები, რომელსაც მოსწავლე ესწრება

	ქართული	მათემატიკა	ბუნ.						
ორშაბათი									
სამშაბათი									
ოთხშაბათი									
ხუთშაბათი									
პარასკევი									

<p>სასწავლო გარემოს აკომოდაციის საჭიროება</p> <p>(განმარტება: სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას)</p>	<p>დიახ</p>	<p>არა</p>
---	--------------------	-------------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემოხაზეთ საჭირო აკომოდაციის სახეები

<p>ა) ინსტრუქციის აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჟესტების ენა; • ბრაილის ანბანი; • კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია); • ტექსტის ლექსიკის გამარტივება • ვიზუალური მინიშნება; • ვიზუალური ცხრილი; • ფონტის გაზრდა; • ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; • ინსტრუქციის პერეფრაზირება; • ინფორმაციის გამეორება; • აუდიო მასალის გამოყენება. 	<p>ბ) გარემო პირობების აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო; • საკლასო ოთახის მდებარეობა; • მერხების განლაგება; • მოსწავლეთა განთავსება; • განათება; • ადაპტირებული ავეჯი, სივრცე; • სწავლების სტრატეგია. 	
<p>გ) შეფასების აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წერითი გამოცდის/ტესტირების ზეპირით ჩანაცვლება ან პირიქით; • ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; • გამადიდებელი, ლუპა; • ხმის გამამძლიებელი; • კალკულატორი. 	<p>დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დროის გაზრდა; • შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება; • დროის დაგეგმვა; • დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; • შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი • დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა. 	
<p>დამატებითი სერვისების საჭიროება</p> <p>(განმარტება: შესაძლოა სსსმ მოსწავლეს ესაჭიროებოდეს დამატებითი სერვისები სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, მაგ. ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში, ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურება, მობილობა-ორიენტაციის ტრენერი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სასკოლო ავტობუსით მომსახურება, ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა და სხვ.)</p>	<p>დიახ</p>	<p>არა</p>
<p>დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ საჭირო სერვისი:</p> <hr/> <hr/>		

შენიშვნა: დადებითი პასუხების შემთხვევაში პირადი საქმე უნდა შეიცავდეს შესაბამის დოკუმენტაციას (სამედიცინო ინფორმაცია, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, სხვა სპეციალისტების დასკვნა), რომელშიც შესაბამისი სპეციალისტის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული საჭიროებები.

კლასის დამრიგებლის ხელმოწერა _____

დირექტორის ხელმოწერა _____

შეფასების შედეგები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ.

აკადემიური უნარები (აფასებს საგნის მასწავლებელი)	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
კოგნიტური (შემეცნებითი) უნარები (აფასებს სპეც მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი)	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		
აზროვნება		
მეტყველება		
ქცევა და ემოცია		

კომუნიკაცია		
მსხვილი მოტორული უნარები		
ნატიფი მოტორული უნარები		
ფუნქციური უნარ - ჩვევები (კვება, ჩაცმა გახდა, ტუალეტი, საკუთარი ნივთების მოწესრიგება...)		
ინტერესები, განსაკუთრებული მიდრეკილებები		
საგანმანათლებლო გარემოს შეფასება	საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისთვის, მაგ ადამიანური ან/და მატერიალური რესურსი	

მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში

მოსწავლის სახელი-გვარი: _____

კლასი: _____

საგანი: _____

მასწავლებლის სახელი-გვარი: _____

თარიღი: _____

აქ იწერება მონაცემები მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ, საგნობრივ პროგრამასთან მიმართებაში, სსსმ მოსწავლეს აფასებს ყველა ის საგნის მასწავლებელი, რომელიც მას ასწავლის შედეგების გრაფაში შეიძლება ჩაიწეროს შედეგები და ინდიკატორები სხვადასხვა კლასის სტანდარტიდან სხვადასხვა მიმართულებისთვის და საგნებისთვის

მოსწავლემ გასული სასწავლო წლის დასასრულს გამოავლინა	შედეგის ადასტურებს	მიღწევას შემდეგი	შედეგის ადასტურებს	მიღწევას არ შემდეგი
---	--------------------	------------------	--------------------	---------------------

შემდეგი სასწავლო შედეგი/ები	ინდიკატორი/ები	ინდიკატორი/ები

მასწავლებლის დასკვნა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების საჭიროების თაობაზე

მასწავლებლის ხელმოწერა _____

დირექტორის ხელმოწერა _____

შენიშვნა: ეს ფურცელი გადამრავლდება ყველა საგნის მასწავლებლისთვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

საგანი:

მიმართულება:

გრძელვადიანი მიზანი (წლიური ან სემესტრული)

მოკლევადიანი მიზანი (ერთი მოკლევადიანი მიზანი განისაზღვრება 4-6 კვირის ვადით, სასწავლო წლის მანძილზე სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი უნდა იყოს 6-7 მოკლევადიანი მიზანი)

1	
----------	--

ჩამოწერეთ მიზნის შესაბამისი აქტივობები მაგალითისთვის, მსგავსი აქტივობების წინასწარ შედგენა თქვენ დაგჭირდებათ ყოველი გაკვეთილის დაგეგმვამდე		რესურსი
1		
2		
3		
4		

შენიშვნა: ეს ფურცელი გადამრავლება ყველა საგნის მასწავლებლისთვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი

გრძელვადიანი მიზანი:

მოკლევადიანი მიზნები:

მოკლევადიანი მიზნები		თვე 1	თვე 2	თვე 3	თვე 4	თვე 5
1						
2						
3						
4						
5						

მიღწეული მოკლევადიანი მიზნების აღწერა ხდება განმავითარებელი კომენტარით

მნიშვნელოვანია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თან ახლდეს სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული მოსწავლის ნამუშევრები, დავალებები.